ახალი განათლება

16-22.05.2019

№19 (853) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

სიახლე

სტანდარტი სპეციალური მასწავლებლებისთვის

გვ. 2

პროფესია პედაგოგი

ბედნიერებაა, როცა მოსწავლეები გენდობიან

ზვიად ნიქაბაძე, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

გვ. 3

გაკვეთილის გეგმა

PIFAQOR TEOREMI

ჯუმშუდ გულმამედოვი, მათემატიკის მასწავლებელი

გვ. 4



*მუზეუმის საერთაშორისო დღე **(IMD)**, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (**ICOM**) ინიციატივით, 1977 წლიდან, ყოველწლიურად აღინიშნება. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს იმის გაცნობიერებას, რომ მუზეუმები წარმოადგენენ ჯელტურული გაცვლების, ჯელტურების გამდიდრებისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას.*

ამ დღისთვის მუზეუმები ჩვეულებრივ ღონისძიებებსა და აქტივობებს გეგმავენ. წელს მუზეუმის საერთაშორისო დღის თემაა: „მუზეუმები, როგორც ჯელტურული ჰაბები: ტრადიციის მომავალი“, რაც ერთგვარი გზავნილია საზოგადოებისთვის, თუ როგორ შეიძლება მუზეუმმა მოახდინოს ტრანსფორმაცია, გახდეს ინტერაქტიული და საზოგადოებაზე ორიენტირებული.

18 მაისს, საქართველოს მუზეუმებში, ღია ჯარის დღე გამოცხადდება, შესვლა უფასოა. თითქმის ყველა მუზეუმში ჩატარდება აქცია „ღამე მუზეუმში“ და დამთვალიერებელს ღამის 1 საათამდე უმასპინძლებენ.

სიახლე

ახალი სტანდარტი სპეციალური მასწავლებლებისთვის, რომელიც უკეთ წარმოაჩენს მათ პროფესიულ ჩარჩოს

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2011 წლიდან ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გუნდური მუშაობის საფუძველზე შეიქმნა. ამ სტანდარტით ხელმძღვანელობდნენ დღემდე მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის სპეციალისტები, ქმნიდნენ სატრენინგო მოდულებს, სილაბუსებს, გეგმავდნენ სასწავლო ღონისძიებებს, განსაზღვრავდნენ სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებს და ა.შ. თუმცა, ინკლუზიური განათლების მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა სტანდარტის განახლება მოითხოვა. შეიქმნა ახალი სტანდარტი, რომელსაც სახელმწიფო პროცედურების გავლის შემდეგ, პარლამენტი დაამტკიცებს.

სტანდარტის ერთ-ერთი ავტორი, **ნათია ნიაური** ამბობს, რომ ახალი სტანდარტის შექმნის აუცილებლობა ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პროცესებმა გააჩინა, რადგან: *„უფრო ფართოდ დავინახეთ სპეციალური მასწავლებლის როლი და მნიშვნელობა სკოლის სივრცეში არა მხოლოდ სსსმ მოსწავლეებთან მიმართებაში, არამედ განსხვავებული შესაძლებლობების, მათ შორის დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლისთვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიურ, კოგნიტურ, მოტორულ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, 2018 წლიდან, მიზნად დავისახეთ სტანდარტში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც უკეთ წარმოაჩენდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ ჩარჩოს. შესაცვლელი იყო, ასევე, ძველ სტანდარტში გამოყენებული ტერმინილოგია.“*

რა სიახლე შემოაქვს სტანდარტს სპეციალური მასწავლებლის საქმიანობაში და რაზე კეთდება მთავარი აქცენტები, რაც უკეთ წარმოაჩენს სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ ჩარჩოს?

განახლებული სტანდარტი, რომელიც, დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში მზადდებოდა, დამატებით მოიცავს ისეთ ქვეპუნქტებს, რომლებიც სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციის მნიშვნელოვან ზრდას გულისხმობს, რამდენადაც დოკუმენტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ნათია ნიაური: *„სტანდარტი განსაზღვრავს სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს. დოკუმენტი აერთიანებს სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს და მოიცავს როგორც ზოგად კომპეტენციებს, ისე ცალკეულ უნარ-ჩვევებს სპეციალური მიმართულების მასწავლებლებისთვის, ესენია: სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეთა სპეციალური მასწავლებელი, ინტელექტუალური განვითარების დარღვევის და დასწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა სპეციალური მასწავლებელი, მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებლი.*

მაგალითად, ზოგად კომპეტენციაში დამატებულია ისეთი ქვეპუნქტები, რომელიც სპეცმასწავლებელს ავალდებულებს არა მხოლოდ სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეებთან მუშაობას და ამ მიმართულებით საგნის მასწავლებლის პროფესიულ გაძლიერებას, არამედ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობების და საჭიროების დადგენას/იდენტიფიკაციას, რის საფუძველზეც მან უნდა დაგეგმოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას გააუმჯობესებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სპეციალური მასწავლებელი გაატარებს პრევენციულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მოსწავლე არ ჩამორჩეს თანატოლებს და შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევა. აქედან გამომდინარე, თუ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, ეს ვერ იქნება სპეციალური მასწავლებლის შტატის გაუქმების საფუძველი.

სპეციალური მასწავლებლის მოვალეობაში, ასევე, შედის მოსწავლესთან კოგნიტურ და წინარე აკადემიურ უნარებზე მუშაობა, რაც აკადემიური უნარების დაუფლების წინაპირობას ქმნის.

საკუთარი პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის დადგენის მიზნით, სპეციალურ მასწავლებელს პორტფოლიოს წარმოება მოუწევს (აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება ამჟამად მიმდინარეობს).“

გარდა ამისა, სტანდარტს დაემატა შემდეგი კომპეტენციები (აქ მითითებულია რამდენიმე სიახლე):

- სპეციალური მასწავლებელი, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/მეურვესთან ერთად, შეიმუშავებს და ახორციელებს მოსწავლის მიერ დასწავლილი უნარების სხვადასხვა გარემოში გამოყენების გეგმას;
- სსსმ მოსწავლის სხვა სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს ახალი სკოლის ან პროფესიული სასწავლებლის სპეციალურ მასწავლებელთან, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესში მიღწეული წარმატებებისა და სხვა საჭიროებების გაცნობის მიზნით;
- სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს რჩევებს განათლების სხვა სფეროების წარმომადგენლებს (სახელობო, პროფესიული და უმაღლესი განათლების), სსსმ მოსწავლის სკოლის შემდგომი განათლებისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით;
- სპეციალური მასწავლებელი ხელს უწყობს თანმიმდევრული საკლასო რუტინის/წესების შექმნასა და დაცვას ქცევითი და ემოციური რეგულაციის სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის.

მასწავლებელთა რეგისტრაცია კომპეტენციის დასადასტურებლად 13 მაისიდან დაიწყო

პრაქტიკოს მასწავლებლებსა და მასწავლებლობის მსურველებს საშუალება ეძლევათ, კომპეტენციის დასადასტურებლად, 13 მაისიდან 24 მაისის 18 საათამდე, რეგისტრაცია გაიარონ ვებგვერდებზე: www.naec.ge და online.naec.ge.

გამარტივდა მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე რეგისტრაციის პროცედურა – ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფო გორგოძემ განაცხადა.

„აქამდე მასწავლებლებს ორმაგი რეგისტრაცია უწევდათ: ერთი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში და მეორე – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. ახლა მხოლოდ ერთ ცენტრშია და პროცედურა საკმაოდ გამარტივებულია.

რაც შეეხება თავად გამოცდებს, განსაკუთრებული ცვლილება აქ არ არის. იმავე ფორმატისა და დიზაინის ტესტებია, როგორიც წინა წლებში იყო. დეტალური ინფორმაცია ჩვენს ვებგვერდზეა განთავსებული და, დამატებითი კითხვების შემთხვევაში, პედაგოგებს შეუძლიათ ჩვენ მოგვმართონ.

ცვლილებები არც ბარიერის თვალსაზრისითაა. მოგეხსენებათ, საუბარია მინიმალური კომპეტენციის დადასტურებაზე. 1, 4 და 7 კრედიტი – მასწავლებლები, როგორც წინა წელს, წელსაც, შესაბამისი ქულების მიღების შემთხვევაში, ამ კრედიტების დაგროვებას შეძლებენ,“ – განაცხადა სოფო გორგოძემ.

გამოცდებზე რეგისტრაციის უფლება ექნებათ:

- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებლებს;
- პირებს, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხის, ასევე სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირებს;
- მასწავლებლობის მსურველებს, რომელთაც დიპლომის საფუძველზე აქვთ მასწავლებლობის უფლება;
- თუ პირი არ ფლობს რომელიმე ზემოაღნიშნულ კვალიფიკაციას, იგი საგნის გამოცდაზე მიღებულ შედეგს ვერ გამოიყენებს მასწავლებლის საქმიანობის მიზნებისთვის.

პრაქტიკოს მასწავლებელს უფლება აქვს, დარეგისტრირდეს ელექტრონულად როგორც საგნობრივ (შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი საგანი), ასევე პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე. პედაგოგობის მსურველ აპლიკანტებს კი მხოლოდ საგნის გამოცდის ჩაბარება შეეძლებათ.

კომპეტენციის დადასტურება და გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ საგნებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
- მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები);
- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია;
- უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური): ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული;
- ესთეტიკური აღზრდის საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- პროფესიული უნარები.

ყველა პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის რეგისტრაცია უფასოა. მასწავლებლობის მსურველი აპლიკანტებისათვის კი რეგისტრაციის საფასური 50 ლარია. აპლიკანტს საგნის გამოცდაში მონაწილეობის საფასური სრულად უბრუნდება, თუ ის 24 მაისის 18:00 საათამდე უარს განაცხადებს საგნის გამოცდაში მონაწილეობაზე (შესაბამისი განცხადებით მიმართავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს).

მონაწილე დარეგისტრირებულად ითვლება, თუ მას სარეგისტრაციო გვერდზე გამოუჩნდება შეტყობინება: „თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია. შეგიძლიათ ამობეჭდოთ თქვენი სარეგისტრაციო განაცხადი.“

Naec-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდება ინფორმაცია – როდიდან შეძლებენ დარეგისტრირებული აპლიკანტები საგამოცდო ბარათების ამობეჭდვას, ბარათზე მითითებული იქნება: საგამოცდო ცენტრი, თითოეული გამოცდის თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო.

მაღალკვალიფიციურ პედაგოგებს ანაზღაურება ეზრდებათ

2019 წლის სექტემბრიდან, უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტით გაეზრდება. პედაგოგის ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება.

სახელფასო ზრდა, ასევე, შეეხებათ რესურსცენტრებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, სკოლების დირექტორებს.

პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და აიმაღლებენ სტატუსს, ასევე, მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან.

პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, მიეცემათ შესაძლებლობა, დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით აიმაღლონ სტატუსი, 2019 წლის ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გაზრდილ და მზარდ ანაზღაურებას.

გარდა ამისა, მასწავლებლის სურვილის შემთხვევაში, პედაგოგების საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო იზრუნებს პრაქტიკოსი საფეხურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე შესაბამისი გადამზადების პროგრამებით და ამის შემდგომ, განმეორებით, მისცემს მათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობას, 2019 წლის შემოდგომაზე.

შეთავაზება საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებლებს

საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია, მათი ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, 2019 წელს, სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო – ორი წლის ჯამური ხელფასი; ამასთან, შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (საჯარო სკოლების მასწავლებელთა ჯანმრთელობის სადაზღვევო ვაუჩერის პირობების შენარჩუნებით).

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს სახელწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა, 2019 წლის განმავლობაში, რამდენიმე შემთხვევაში ექნება:

- თუ მასწავლებელს არ აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს 2019 წლის მაისის ბოლომდე;
- თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის ბოლომდე;
- თუ მასწავლებელს არ აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას ან თუ მასწავლებელს აქვს მინიმალური კომპეტენცია დადასტურებული, მაგრამ არ სურს, აიმაღლოს სტატუსი – ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ 2019 წლის ბოლომდე უნდა განაცხადოს.
- სახელმწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა.

ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე, ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში, ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე – დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხელფასის შენარჩუნებით.

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებლებს სახელმწიფოსგან შეთავაზებული ჯილდოს მოთხოვნის შესაძლებლობა მომავალ წლებში აღარ ექნებათ.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

ПРОФЕСИЯ ПЕДАГОГ

ბედნიერებაა, როცა მოსწავლეები გენდობიან

რუბრიკის სტუმარია ზვიად ნიქაბაძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ილემის საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

პროფესიის არჩევანი

დავიბადე 1977 წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში, ვსწავლობდი ამავე სოფლის საშუალო სკოლში. 1999 წელს დავამთავრე ქუთაისის იოანე პეტრინის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ილემის საჯარო სკოლაში დავიწყე სამოქალაქო განათლების და ისტორიის მასწავლებლად, ვხელმძღვანელობ ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს „ედელვაისი“.

პირველ რიგში, მადლიერება მინდა გამოვხატო ილემის საჯარო სკოლის დირექტორის, ირინა სხილაძის და ჩემი კოლეგების მიმართ, გვერდში დგომისთვის, თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, რამაც დიდი როლი შეასრულა ჩემ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში.

მასწავლებლობა ჩემთვის საინტერესო და მრავალფეროვანი პროფესიაა, შეიძლება ითქვას, რომ მოწოდებით მასწავლებელი ვარ. არაფერია იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე ისეთ საყვარელ, საინტერესო, სათუთ არსებებთან, პატარა ადამიანებთან ურთიერთობა, როგორებიც ბავშვები არიან. სწორედ ბავშვების სიყვარულმა და მათზე ზრუნვის სურვილმა გადამაწყვეტინა მასწავლებელობა. პროფესიის არჩევაში დიდი როლი ჩემმა მასწავლებლებმა ითამაშეს, რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ კაცი მასწავლებლები. მადლიერი ვარ მათი ჩემდამი გაწეული ამაგის.

წარმატების საწინდარი

თანამედროვე შეხედულებებიდან გამომდინარე, ვცდილობ, მოსწავლეები დავაინტერესო სწავლების სხვა, არაფორმალური მეთოდებით. ჩემი სულიერი ღირებულებების და ფასეულობების მათთვის გაზიარება უდიდესი სიამოვნებაა, ისინი ხომ ჩემგან იღებენ იმ საზრდოს, რაც მთელი ცხოვრება გაჰყვებათ. მახარებს, როცა მენდობიან და მისაბაძ პიროვნებად მიმიჩნევენ.

უახლოესმა ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე: კომუნიკაციებზე, თანამშრომლობაზე, სწავლაზე, სწავლებაზე. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს არჩევანი, თავად უნდა ფლობდეს ტექნოლოგიურ სიახლეებს, მუდამ ზრუნავდეს პროფესიულ განვითარებაზე და მოსწავლეებს აძლევდეს მიმართულებას პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ამიტომაც ვერთვები ტრენინგებში, ვცდილობ, ყოველდღიურად მივიღო ცოდნა და რაღაც ახალი მივაწოდო მოსწავლეებს. წარმატებული პედაგოგი აუცილებელია იყოს კოლეგიალური და ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. პრობლემების არსებობის შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, ვეხმარები კოლეგებს, ვუზიარებთ ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, ვეხმარები მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი ნება, იყვნენ გაბედულები და შეძლონ პოტენციალის გამოვლენა. ვცდილობ, ვიყო ნოვატორი და მუდმივად ვცვალო სტრატეგიები მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. მიმაჩნია, რომ წარმატებული მასწავლებელი გულღია და ჰუმანურია, ხედავს საკუთარ ღირსებასა და ნაკლოვანებას.

სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა

სამოქალაქო განათლების პედაგოგს მოეთხოვება, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში გამოყენებას. მათ უნდა შეძლონ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, ყოველდღიურობაში უნდა დაამტკიცონ, რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებენ და აქტიური მოქალაქეები არიან.

დისციპლინა – სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი

მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რა თქმა უნდა, ვაწყდები პრობლემებს. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ბევრი მოსწავლე მშობლების მზრუნველობის გარეშეა დარჩენილი ბებია-ბაბუებთან. სამწუხაროდ, მათ აკლიათ ყველაზე მთავარი – ოჯახური სითბო, მშობლებთან ურთიერთობა, რაც ხშირად ხდება დისციპლინარული გადაცდომის მიზეზი. მათთვის ერთადერთი იმედი სკოლაა, ამიტომაც გვაქვს ასეთი ბავშვების მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რომ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებაში დავეხმაროთ. თითოეული მოსწავლე ინდივიდია და თავისებურ მიდგომას საჭიროებს, ყველას სხვადასხვა უნარი აქვს, სხვადასხვანაირი ნიჭი, ხედვა, განსხვავებული ოჯახური კულტურა, ამიტომ ვცდილობ, პირველ რიგში, მათი ნდობის მოპოვებას, რათა შემდეგ მოტივაციის ამაღლებაში დავეხმაროთ. დიდი ძალისხმევა მჭირდება, რომ განსხვავებული თარგიდან ერთნაირად ღირსეული და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი პიროვნებები ჩამოვაყალიბო. ამიტომ, ვფიქრობ, მხოლოდ პროფესიონალიზმი, საკუთარი საგნის ბრწყინვალედ ცოდნა ამისთვის საკმარისი არ არის.

სიახლეების დანერგვა

სიახლის დანერგვა და სასწავლო პროცესში მოსწავლეების აქტიური ჩართვა, ჩემი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. რა თქმა უნდა, იყო სიახლის ინიციატორი საკმაოდ საპასუხისმგებლო, შრომატევადი და რთულად განსახორციელებელია. ეს ყველაფერი მასწავლებლისგან დიდ ენთუზიაზმს, მოთმინებას მოითხოვს, თუმცა, ყოველი სიახლისადმი გაწეული შრომა, შემდგომში აადვილებს სწავლების პროცესს. საკლასო ოთახში დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტექნიკას, მოსწავლეებს სწავლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს და მოტივაციას აღუძრავს. ამიტომ, სწავლებისას, ყოველთვის ვიყენებ აუდიო და ვიდეომასალას, ვაწყობთ დისკუსიას, როლურ თამაშებს, გაჩერებებს, რაც მრავალფეროვანსა და სახალისოს ხდის საგაკვეთილო პროცესს.

პროექტებით სწავლება

ეს არის მეთოდი, რომელიც უადვილებს პედაგოგს აღზარდოს მოსწავლეებში დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისთვის საჭირო ღირებულებები და უნარ-ჩვევები – თანამშრომლობა, ემპათია, ზრუნვა, მონაწილეობა, მოხალისეობა და პასუხისმგებლობა. პროექტებით სწავლებამ მოსწავლეებს ის უნარები შესძინა, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ნამდვილად გამოადგებათ – კომუნიკაცია და პრეზენტაცია, სამუშაოს ორგანიზება და დროის განაწილება, კვლევა და გამოკითხვის ჩატარება, თვითშეფასება და რეფლექსია, თანამშრომლობა და ჯგუფთან მუშაობა. პროექტების მსვლელობისას, მოსწავლეებმა საკუთარ თავში ისეთი ძლიერი მხარეები აღმოაჩინეს, რომელიც ადრე ვერც კი წარმოედგინათ – ლიდერობა, დაგეგმვის ნიჭი, დახმარების გაწევის შესაძლებლობა და სხვ.

სახელმძღვანელოები

სამოქალაქო განათლების ახალი პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში გამოცემული სახელმძღვანელო კარგი რესურსია მასწავლებლისთვის. მასში ძალიან ბევრი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციაა, რაც შესაძლებლობას მაძლევს, ხელი შევუწყო მოსწავლეებს ცოდნის ტრანსფერში, ისეთი უნარების გამომუშავებაში, როგორიცაა: პრობლემის იდენტიფიცირება და დამოკიდებულება პრობლემისადმი, თანამშრომლობის უნარი, პარტნიორთა შერჩევის პრინციპები, კონფლიქტების მართვის წესების შემუშავება, საზოგადოებრივი საქმიანობის გააზრება, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი თანმიმდევრული ქმედებები. მოსწავლეებმა შეძლეს ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ანუ დემოკრატიული პრინციპების სკოლაში, თემში დანერგვა და ამ პრინციპებით მოქმედება. მათ შეუძლიათ რეალურ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლენა და ამ უფლებების დაცვა.

მომავლის გეგმები

ჩემი მიზანია, პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა და სკოლაში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის ამაღლება. ვცდილობ, მონაწილეობა მივიღო სამოქალაქო განათლების პროგრამაში „მომავლის თაობა“ და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებსა თუ შეხვედრებში, ასევე, სამოქალაქო განათლების ეროვნულ კონფერენციებში, რაც დამეხმარება პროფესიულ განვითარებაში, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

თავისუფალ დროს ვეცნობი მეთოდურ სიახლეებს, რომ ჩემი მოსწავლეებისთვის სამოქალაქო განათლების გაკვეთილები მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო გახდეს.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

ინფორმაცია

წერილობითი ურთიერთობის პოპულარიზაცია

წელს, საქართველოს ფოსტის (გენერალური დირექტორი – **ლევან ჩიკვაიძე**) ეგიდით, რიგით მეექვსე „წერილის წერის“ საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. კონკურსში 400-მდე 15-წლამდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, გამოვლინდა 3 საუკეთესო ნაშრომი:

I ადგილი – მარიამ ქართველიშვილი (რუსთავი №10 საჯარო სკოლა);
II ადგილი – ნურიდა ბაირამოვა (ბოლნისის მუნიციპალიტეტის სავანეთის საჯარო სკოლა);
III ადგილი – გიორგი აბესალაშვილი (ონის მუნიციპალიტეტის პიპილეთის საჯარო სკოლა).

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი, ხოლო გამარჯვებულმა სამეულმა ნოუთბუქი, პლანშეტი და ველოსიპედი მიიღო.

მიმდინარე წლის საკონკურსო თემა იყო „დაწერე შენი გმირის შესახებ“. „მსოფლიო საფოსტო კავშირში“ გაიგზავნება კონკურსის გამარჯვებულის, 12 წლის მარიამ ქართველიშვილის წერილი „ჩემი გმირი“, რომელიც საერთაშორისო საკონკურსო პროგრამაში ჩაერთვება. აღსანიშნავია, რომ კონკურსში ბევრი საინტერესო თემა იქნა წარმოდგენილი.

მარიამ ქართველიშვილმა გმირი საკუთარ დედიკოში დაინახა, მისი ძალიან ემოციური წერილი საქართველოს პრეზიდენტმაც წაიკითხა, უპასუხოდ ვერ დატოვა და სიპასუხო წერილი და სამახსოვრო საჩუქარი გამოუგზავნა.

„წერილის წერის სართაშორისო კონკურსის“ მიზანია წერილის წერის ტრადიციის აღდგენა/დამკვიდრება და წერილობითი ურთიერთობის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, წერილობითი ურთიერთობის შენარჩუნება.

„წერილის წერის“ სართაშორისო კონკურსს საფუძველი ჩაეყარა „მსოფლიო საფოსტო კავშირის“ ტოკიოს კონგრესზე და 1971 წლიდან სისტემატურად იმართება, მასში მსოფლიო საფოსტო კავშირის 192 წევრი ქვეყანა მონაწილეობს.

კონკურსის დაჯილდოების ცერემონიას საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა.

რევაზ თოფურია

გაკვეთილის გეგმა

PIFAQOR TEOREMI

გაკვეთილის გეგმის ავტორია
ჯუმშუდ გულმამედოვი,
სსიპ ა. ალიევის სახელოგის
გოლნისის მუნიციპალიტეტის
სოფელ ტალავერის პირველი საჯარო
სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

გაკვეთილის თემა:
პითაგორას თეორემის სწავლება
VIII კლასში

Dərsin plani

Muəllim: Cümşüd Gülməmmədov
Fənn: Riyaziyyat
Tədris pilləsi / sinif: II pillə, VIII sinif
Sagirdlərin sayi: 10 nəfər

1	**Sagirdler haqqinda**	Sinifde xususi tehsile ehtiyaci olan sagird yoxdur.
2	**Movzu**	Pifaqor teoremi.
3	**Məqsəd**	Duzbucaqli ucbucagin katetleri ve hipotenuzu arasinda elaqeleri menimsetmek.
4	**Metod**	„Problemli-situasiya“ ve eks elaqe prinsipi.
5	**Milli tədris planinin standarti**	Fiqurun ve onun elementlerinin olculerini axtara bilme.
6	**Fəalliq**	Duzbucaqli ucbucagin terefleri uzerinde qurulmus kvadratlarin sahelerinin muqayisesi-diskusiya, netice elde etmek ve neticelerin tedbiqleri.
7	**Resurslar**	Xetkes, duzbucaqli ucbucaq formasinda xetkes, Pifoqor teoremine aid plakatlar, kompiuter, proyektor.
8	**İs formasi**	Qrupla is ve butun sinifin istraki.
9	**Vaxt**	45 deqiqe
10	**I hissə (fealliq1) sinifin teskili ve „problemin“ qoyulusu 15 dəqiqə**	Sinifin teskili Diskusiya emekdasliq Sinifde 4 qrup mueyyenlesdirmek Is eyniolculu damali kagizda: I qurup: terefi 6 dama olan kvadratin sahesini mueyyenlesdirmek. II qurup: terefi 8 dama olan kvadratin sahesini mueyyenlesdirmek. III qurup: terefi 10 dama olan kvadratin sahesini mueyyenlesdirmek. IV qurup: I qurupun ve II qurupun elde etdiyi sahelerin cemi ile III qurupun elde etdiyi saheni muqayise etmek.
11	**II hisse (fealliq2) „problemli-situasiyanin“ ve eks-elaqe ile problemin helli 15 deqiqe**	Quruplarin diskusiyasi ve emekdasliqla termin netice kimi elde olunmasi ve terminin 2-mesele helline tetbiqi (qruplar uzre) Mesele 1. Katetler vrildikde (3 ve 4), hipotenuzu tapmaq (5) Mesle 2. Katetlerden biri (3) verildikde ve hipotenuz (5) vereildikde, o biri kateti tapmaq.
12	**III hisse (fealliq3) Teqdimat etme. 10 deqiqe**	Prozentasiya. Quruplarin bir neferi pifaqor teoremini ve onun meseleler hellinde ve praktik heyatda tedbiqlerini teqdim edirler.
13	**IV hisse (fealliq4) Ev tapsiriqlarinin verilmesi ve qiymetlendirilme 5 deqiqe**	Ev tapsiriqlari konkret verilir. Sagirdlerin qiymetlendirilmesi aparilir.

Sagirdlerin qiymetlendirilmesi kriteriumu

Kriteri	Qeyri kafi: (1-4)	Kafi: (5-6)	Yaxsi: (7-8)	Cox yaxsi: (9-10)
Celbolma	Fealliqlarda nadir hallarda istirak edir.	Bezi fealliqlarda istirak edir.	Fealliqlarin cox-unda aktiv istirak edir. Ve oz fikrini soyleyir.	Butun fealliqlarda aktiv istirak edir ve muhum fikirler soy-leyir.
Emekdasliq	Quruplarla is zamani emek-dasliq etmir.	Quruplarla is zamani nadir hal-larda istirak edir.	Quruplarla is zamani tez-tez emekdasliq edir.	Quruplarla is zamani hemise emekdasliq edir.

სამოდელო გაკვეთილი

გამჭოლი კომპეტენცია – წიგნიერება

მასწავლებლის სახელი, გვარი: თამარ ფაჩულია
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური/VI კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 4
გაკვეთილის თემა: ანა კალანდაძე „მოდიოდა ნინო მთებით“
სამოდელო გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენცია – წიგნიერება
გაკვეთილის მიზანი:
მოსწავლემ შეძლოს:
ქართ. დაწყ.(II).1. სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.
ქართ. დაწყ.(II).2. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.
ქართ.დაწყ.(II).7. წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.
ქართ.დაწყ.(II).9. კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.
ქართ.დაწყ.(II).12. წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	1. მასწავლებელი ესალმება კლასს, აგვარებს საორგანიზაციო საკითხებს; 2. აცნობს გაკვეთილის მიზნებს; 3. თუ რა მეთოდებს და რესურსებს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად; 4. რა შედეგს ელის გაკვეთილის ბოლოს; 5. შეფასების ფორმებს; 6. კიდევ ერთხელ შეახსენებს შეფასების რუბრიკას და, მონიტორინგის საფუძველზე, რეგულარულად მიაწოდებს უკუკავშირს.	პროექტორით ეკრანზე აჩვენებს წარმოდგენილ აქტივობას, რომ ვიზუალურმა მასალამ მოსწავლეებს გაუადვილოს აღქმა. კედელზე გაკრულია შეფასების რუბრიკა.	მუშაობა მთელ კლასთან	პროექტორი, ეკრანი, ლეპტოპი, შეფასების რუბრიკა	2წთ
2	წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მასწავლებელი დაფაზე წერს ლექსის სათაურს – „მოდიოდა ნინო მთებით“. კლასს უჩვენებს საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ხატს, ფარავნის ტბის (ნინოწმინდაშია, სამხრ. საქართველო) და ჯავახეთის მთების სურათს.	ვიდეომასალის წარმოდგენა	მუშაობა მთელ კლასთან	წინარე ცოდნა	5წთ
3	მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს წმინდა ნინოს ღვაწლის შესახებ.	მინი-ლექცია	მუშაობა მთელ კლასთან		5წთ
4	მასწავლებელი გადადის გაკვეთილის ძირითად ფაზაზე, აცნობს გაკვეთილის თემას: ანა კალანდაძე „მოდიოდა ნინო მთებით“. ამის შემდეგ ლექსის კითხვას იწყებს მასწავლებელი, შემდეგ კი ასმენინებს ზურაბ ყიფშიძის მიერ წაკითხულ ლექსს.	ლექსის კითხვა	მუშაობა მთელ კლასთან	სახელმძღვანელო, ტექსტი, მასწავლებელი, მოსწავლე პროექტორი, ლეპტოპი, ეკრანი	14წთ
5	მასწავლებელი სვამს ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვებს. ტექსტის გაგებისათვის დასმული კითხვების პასუხებს მოსწავლეები ჯერ წიგნში ამოიკითხავენ, შემდეგ კი საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემენ. – რა არის ლექსის თემა? – ვინ იგულისხმება „უცხო მგზავრში“? – რა მისიით მოდის იგი საქართველოში? ლექსის რომელ სტრიქონებში ჩანს ეს? – რამ გააკვირვა იგი? – საქართველოს რომელი კუთხეა აღწერილი? რა იცით ამ კუთხის შესახებ? – გადმოცემის მიხედვით, საიდან შემოვიდა ნინო ჩვენს ქვეყანაში? – რატომ უწოდებს ავტორი ნინოს „უცხო მგზავრს“? – „წუთით იგრძნო მშობლის სევდა, მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?“ – ნინოს რა სულიერ განცდას უსვამს ხაზს ამ სიტყვებით პოეტი? – როგორ ფიქრობთ, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ლექსში სიტყვა „მწყემსს“? – თქვენი აზრით, რისი თქმა სურს პოეტს მთისა და ბარის, ვარდისა და თოვლის კონტრასტით? – რა ისტორიული მოვლენა დაედო ამ ლექსის შექმნას საფუძვლად? – დააკვირდით, რომელი სიტყვით გამოხატავს ავტორი თავის დამოკიდებულებას ამ ისტორიული მოვლენის მიმართ? – რა დატვირთვა აქვს ლექსში პეიზაჟს: ა) ავტორის მიერ ბუნებრივ კლიმატზე ყურადღების გამახვილების; ბ) პეიზაჟით ტკბობის განცდის; გ) ისტორიულ მოვლენასთან კავშირის; დ) ნინოს რთულ მისიაზე მინიშნების (დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ლექსისა და ისტორიული გადმოცემის შეჯერებით).	ფაქტებზე ორიენტირებული კითხვა-პასუხი	მუშაობა მთელ კლასთან	სახელმძღვანელო, ტექსტი მასწავლებელი, მოსწავლე გამოსაძახებელი ჩხირები	6წთ

საშოდელო გაკვეთილი

	– რომელი მხატვრული ხერხებით აღწევს პოეტი ემოციური განწყობილების შექმნას? მოძებნეთ ლექსში შესაბამისი სტრიქონები. დააკვირდით, რომელი სიტყვები მეორდება ქვემოთ მოხმობილ სტრიქონებში და შეეცადეთ განმარტოთ, რას ემსახურება მათი გამეორება: „მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი... მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი“.				
6	მასწავლებელი რამდენჯერმე, გამომეტყველებით, აკითხებს ტექსტს მოსწავლეებს, საგანგებო ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას. ყურადღება მახვილდება: ა) ინტონაციაზე, ბ) ფსიქოლოგიურ მახვილებზე (მახვილი კეთდება სიტყვებზე: „ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ჰხვევდა“, „მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა“, „ნუ გეშინინ! მიუგებდა იესო...“), ლოგიკურსა და გრამატიკულ პაუზებზე (რომლებიც აქ ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა), არქაიზმებზე, როგორც მხატვრულ ხერხზე პოეტის ჩანაფიქრის გადმოცემის საშუალებაზე. – გაიხსენეთ, რას ეწოდება რითმა. მოძებნეთ ლექსში რითმის ნიმუშები (ჰყვაოდნენ-ბღაოდნენ, მოჰკიოდა-მოდიოდა...) – ლექსში პოეტი იყენებს გამეორებებს. მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს ადგილები („მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა“, „მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა...“) – როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს პოეტი ამ ხერხს? (ფაქტებსა და მოვლენებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, სათქმელის უფრო ნათელსაყოფად).	ტექსტის კითხვა და მის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება	მუშაობა მთელ კლასთან	მოსწავლე, მასწავლებელი ტექსტი, გამოსაძახებელი ჩხირები	4წთ
7	თანდებულის რაობის გახსენება. – რას ეწოდება თანდებული? რას გვიჩვენებს? რამდენგვარია და რომელ ბრუნვებში დაერთვის სახელს? – რომელი თანდებულიანი არსებითი სახელები გვხდება ლექსში? – რომელ ბრუნვებში დგას ეს არსებითი სახელები? რომელია მათგან არქაული ფორმით გამოყენებული?	ენობრივ მასალაზე დაკვირვება	მუშაობა მთელ კლასთან	მოსწავლე, მასწავლებელი	3წთ
8	გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ახალი ამ გაკვეთილზე.	შეჯამება	მუშაობა მთელ კლასთან	მოსწავლე	2წთ
9	მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ეკითხება, ხომ არ დარჩა ბუნდოვანი საკითხი, რომელიც გაუგებარია მათთვის, ხომ არ აქვთ კითხვები? მოსწავლეთა ყურადღებას წარმართავს შეფასების რუბრიკისკენ და იყენებს შეფასების შემდეგ ფორმებს: 1. ურთიერთშეფასებას; 2. განმავითარებელ შეფასებას; 3. განმსაზღვრელ შეფასებას; 4. თვითშეფასებას.	დაკვირვება საკუთარ და სხვათა აზროვნების პროცესზე, შეფასება	მუშაობა მთელ კლასთან	შეფასების რუბრიკა, თვითშეფასების კითხვარი და ურთიერთშეფასების ფურცელი	2წთ
10	საშინაო დავალება: მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით, მოსწავლეებს ეძლევათ ლექსი ზეპირად. ყურადღება მიაქციონ გამომეტყველებით კითხვას. დასაწერად: ნინოს ღვაწლი.	ინსტრუქტაჟი	მუშაობა მთელ კლასთან		2წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლე:

1. შეძლებს ტექსტის კითხვასა და ანალიზს;
2. განუვითარდება გაბმული მეტყველება;
3. შეძლებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას;
4. შეძლებს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირებას, დასაბუთებული დასკვნის გამოტანასა და შეფასებას; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვასა და ახსნას; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემას;
5. შეძლებს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევასა და გამოყენებას მიზნის შესაბამისად;
6. შეძლებს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევასა და გამოყენებას მიზნის შესაბამისად;
7. შეძლებს საგანთშორისი კავშირის, პარალელის გავლებას ბუნებისმეტყველებასთან;
8. გაიღრმავებს მეტაკოგნიტურ უნარებს (დამოუკიდებელი აზროვნება, დაკვირვება საკუთარი და სხვათა აზროვნების პროცესზე).

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების შეფასების რუბრიკა

	კლასი V	შეფასების კრიტერიუმები										
№	მოსწავლის სახელი, გვარი	სათაურის ტექსტთან გააზრებულად დაკავშირება		მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების გარჩევა		პერსონაჟთა ქცევის მოტივის განმარტება და მათი საქციელის შეფასება		საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ		დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ		საბოლოო შეფასება
		1	2	1	2	1	2	1	2	1	2	10 ქულა
1												
2												
3												
4												
5												
6												

კრიტერიუმები	1	2
სათაურის ტექსტთან გააზრებულად დაკავშირება	ნაწილობრივ შეუძლია დააკავშიროს სათაური ტექსტთან.	გააზრებულად აკავშირებს სათაურს ტექსტთან.
მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების გარჩევა	ნაწილობრივ შეუძლია გაარჩიოს მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.	გაარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს.
პერსონაჟთა ქცევის მოტივის განმარტება და მათი საქციელის შეფასება	ნაწილობრივ განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს.	განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს.
საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ	ნაწილობრივ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ.
დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ	ნაწილობრივ ახერხებს პერსონაჟთა შორის ურთიერთობის გაანალიზებას.	გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ.

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

სახელი, გვარი.....

№	კრიტერიუმები	ყოველთვის	ზოგჯერ	არასდროს
1	გაკვეთილზე ყურადღებით ვარ.			
2	მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს ვპასუხობ.			
3	არ მერიდება საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმა.			
4	ყურადღებით ვისმენ სხვის აზრს.			
5	მარტო მუშაობაზე მეტად ჯგუფებში მუშაობა მეხალისება.			
6	როდესაც რამეს ვერ ვიგებ, ვეკითხები მასწავლებელს ან კლასელს.			
7	გაკვეთილზე ხელს არ ვუშლი კლასელებს.			
8	მუშაობის დაწყების წინ ვინიშნავ დროს და ვცდილობ, მას არ გადავაცილო			

ურთიერთშეფასება

სახელი, გვარი.....

კითხვები	შემოხაზეთ
თქვენი აზით, როგორ შეასრულა თქვენმა მეგობარმა დავალება?	• კარგად; • ნაწილობრივ შეასრულა; • არ მომწონს.
რა გაუჭირდა თქვენს მეგობარს ყველაზე მეტად?	• შინაარსის გადმოცემა; • სიტყვათა მართლწერა; • მითითებული სიტყვების მართებულად გამოყენება.
ემთხვევა თუ არა თქვენი შეფასებები ერთმანეთს?	• დიახ; • არა; • ნაწილობრივ.
ემთხვევა თუ არა თქვენი შეფასებები მასწავლებლის აზრს?	• დიახ; • არა; • ნაწილობრივ.

თამარ ფაჩულია
ფოთის კერძო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოცდილება

განმავითარებელი შეფასება და მისი გავლენა სწავლა/სწავლების ხარისხზე

ბევრი დაწერილა და ალბათ მომავალშიც ბევრი დაიწერება განმავითარებელი შეფასების გავლენაზე მოსწავლეთა მოტივაციისთვის. მეც მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება ჩემი გამოცდილებიდან და სხვათა გამოცდილებაც შემოგთავაზოთ, რათა ერთად მოვუყაროთ თავი ამ მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ არსებულ ინფორმაციას.

თანამედროვე სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, ამავე დროს, ძალიან რთული მოსწავლეთა შეფასება. ხშირ შემთხვევაში შეფასება სწორად არ კეთდება, ეს კი გავლენას ახდენს მოსწავლეთა როგორც აკადემიურ მიღწევებზე, ასევე მათი სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე. განმავითარებელი შეფასების ძირითადი დანიშნულება სწავლის მოტივაციის გაზრდა და სასწავლო პროცესისთვის გზის გაკვალვაა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მთავარ ასპექტს წარმოადგენს. როგორც ვიცით, არსებობს შეფასების ორი ფორმა: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და წარმატებების გაუმჯობესებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ემსახურება განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს მივაწოდოთ დროული და ეფექტური უკუკავშირი, რათა მან გააცნობიეროს, რა ცვლილებების შეტანაა საჭირო სწავლაში და სასწავლო მიზნისკენ სვლა წარმატებით გააგრძელოს. განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს მოსწავლის გაგების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. სწავლების პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელმა თითოეული მოსწავლის საჭიროებები უნდა გაითვალისწინოს და დაეხმაროს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ამავე დროს, ზუსტად გაზომოს მოზარდის აკადემიური პროგრესი და ისეთი გზები დასახოს, რომლებიც მას სასწავლო მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

მოსწავლეთა შესაფასებლად მასწავლებელმა შეიძლება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიყენოს და მათი დახმარებით შეიტყოს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა შესასწავლი მასალა, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი სწავლის პროცესში, რა გამოსდით კარგად, რა არის მათი ინტერესების სფერო და, ზოგადად, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესი. ყოველივე ეს მასწავლებელს სწავლების სწორად დაგეგმვაში ეხმარება. განმავითარებელი შეფასების საშუალებებია: სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი და ა.შ.

ყოველი აქტივობის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს უკუკავშირი. არსებობს წამახალისებელი უკუკავშირი და ისეთიც, რომელიც უარყოფითად მუშაობს – მოსწავლეს უკარგავს სწავლის სურვილს, შესაბამისად, აუარესებს აკადემიურ შედეგებს. ამიტომ, კომენტარს ყოველთვის ვიწყებ იმით, რაც მოსწავლის მიერ სწორად იყო შესრულებული, შემდეგ – რა შეცდომა დაუშვა და ვაძლევ რეკომენდაციას, როგორ გამოასწოროს ხარვეზი. თუ მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება – „ყოჩაღ“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და არ უხსნის, რით დაიმსახურა შექება, ეს ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კომენტარებს ვაკეთებ მშობლებისთვისაც, აქტიურად რომ ჩავრთო სწავლის პროცესში, გავაცნო შვილის შედეგები და მივცე რეკომენდაცია ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც, საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს აუმჯობესებს.

ხშირად ვიყენებ მოსწავლეთა თვითშეფასებას. მიმაჩნია, რომ თვითშეფასება განმავითარებელი შეფასების შესანიშნავი ინსტრუმენტია, რომლის მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასების უნარი. ამისთვის ისინი ავსებენ თვითშეფასების კითხვარებს (დანართ№1).

მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ შედეგების გაანალიზება, ამისთვის, გაკვეთილის ბოლოს, ვავსებინებ „გასასვლელ ბილეთებს“, რაც საშუალებას მაძლევს, გავარკვიო, ერთი მხრივ, როგორ წარიმართა ჩემი გაკვეთილი, მივაღწიე თუ არა მიზანს (რასაც მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვისას აუცილებლად ვითვალისწინებ), მეორე მხრივ, მოსწავლეებს აძლევს ანალიზის შესაძლებლობას: რა ვისწავლე დღეს ახალი? რომელი ინფორმაცია იყო დღეს განსაკუთრებით საინტერესო? რის გამოყენებას შევძლებ ყოველდღიურ ცხოვრებაში? რა ვერ გავიგე და რატომ?

გაკვეთილის დასაწყისში ასევე შეიძლება გამოვიყენოთ „შესასვლელი ბილეთები“, იმავე მიზნით – გავიგოთ, რა გაიგეს ან ვერ გაიგეს ბავშვებმა და, საჭიროების შემთხვევაში, გაკვეთილზევე მოხდეს დაგეგმილი აქტივობების მოდიფიცირება. გასასვლელი ბილეთების გარდა, ხშირად ვიყენებ „შავ ლაქას“. ეს აქტივობა ეფექტურად გამოიყენება გაკვეთილის ბოლოს. ვეკითხები მოსწავლეებს: „რა არის დღევანდელი გაკვეთილის თემის „შავი ლაქა“, ანუ ბუნდოვანი წერტილი?“ ისინი წერილობით მცემენ პასუხს. მათი პასუხების განხილვა შემდეგი გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვაში მეხმარება.

შეიძლება კონკრეტულად გამოვაკვეთინო რომელიმე საკითხის „შავი ლაქა“, ასევე საშინაო დავალებისა თუ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში აღმოჩენილი „შავი ლაქა“ და შემდეგ ერთად ვიმუშაოთ ამ საკითხზე.

თუ თემა მაძლევს საშუალებას, ვიყენებ მეთოდს „ათი ყველაზე მნიშვნელოვანი“ – ვთხოვ მოსწავლეებს, აღწერონ ათი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ისწავლეს მოცემული საკითხის ირგვლივ. ესეც მაძლევს ანალიზის საშუალებას, ვარკვევ, რა გაიგეს ან ვერ გაიგეს მოსწავლეებმა. თვითშეფასების უნარის გასავითარებლად, ასევე, ხშირად ვიყენებ „დაუსრულებელ წინადადებებს“. მოსწავლეებს ვურიგებ ფურცლებს, რომელზეც მათ უნდა დაასრულონ წინადადებები. მაგ: *თემის ირგვლივ მე ვიცი..., ჩემთვის საინტერესოა..., მე მინდა გავიგო მეტი...*

შემდეგ ვკრებ ფურცლებს, არასაგაკვეთილო დროს ვაანალიზებ შედეგებს და მათზე დაყრდნობით ვგეგმავ მომდევნო გაკვეთილს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თანაკლასელების შეფასება (ურთიერთშეფასება), რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, სხვათა შეფასების დროს, თავადაც გაიმყარონ ცოდნა გარკვეულ საკითხებში. ურთიერთშეფასება იმითაა კარგი, რომ მოსწავლეები სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას და ამით საკუთარ პროგრესსაც აანალიზებენ. ურთიერთშეფასებისთვის შესაძლებელია შემდეგი ტექნიკის გამოყენება: ნამუშევრების გაცვლა/შეფასება, კომენტარების დართვა.

კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია. ამ დროს ვითვალისწინებ ბლუმის ტაქსონომიას, მარტივიდან (დაბალი სააზროვნო უნარებიდან) რთულისკენ, რადგან თუ კითხვა მაღალი დონის სააზროვნო უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, რთულია იმის დადგენა, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ ახალი მასალა.

ზოგჯერ, როცა მოსწავლე ვერ იგებს ახსნილ მასალას, ვთხოვ სხვა მოსწავლეს, რომელმაც კარგად გაიგო, აუხსნას მეგობარს ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მე ავუხსენი მათ. ეს აქტივობა ძალიან ეფექტურია, რადგან თანატოლის მიერ მარტივი ენით ახსნილი ცნებები უფრო ადვილად გასაგები ხდება მოსწავლისთვის.

სწორად გაკეთებული განმავითარებელი შეფასება ეფექტურია სწავლების ყველა საფეხურზე, განსხვავება შეიძლება ის იყოს, რომელი ინსტრუმენტია რომელი საფეხურზე უფრო ეფექტური. მაგ., აქტივობა „შუქნიშანი“დაწყებით და საბაზო საფეხურზეა უფრო ეფექტური. მოსწავლეებს ვურიგებ წითელ, ყვითელ და მწვანე ბარათებს, თუ რაიმე ვერ გაიგეს ან არ ეთანხმებიან, იყენებენ წითელ ბარათს, თუ გასაგებია ან ეთანხმებიან – მწვანეს და თუ ბუნდოვანია ან ნაწილობრივ იზიარებენ – ყვითელს. შუქნიშანს ხშირად „ცერების“ მეთოდი ცვლის: ცერი ზემოთ – ყველაფერი გასაგებია, ცერი გვერდით – ბუნდოვანია და ცერი ქვემოთ – გაუგებარია ან არ ეთანხმება. ეს აქტივობები ძალზე სახალისოა, თანაც მასწავლებლისთვის მეტად ინფორმაციული. ასევე სახალისოა გამოსაკითხი ჩხირების გამოყენება. ჩხირებს მოსწავლეთა სახელები და გვარები აწერია და, შემთხვევით, რომელი მოსწავლის ჩხირსაც ამოიღებს მასწავლებელი, ის უპასუხებს დასმულ შეკითხვას ან შეასრულებს დავალებას. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას.

ხშირად ვიყენებ აქტივობას „ჭეშმარიტია-მცდარია“ – წინასწარ ვამზადებ ბარათებს, რომლებზეც თემასთან დაკავშრებული დებულებები წერია. გაკვეთილის ბოლოს, ამ ბარათებს იღებენ მოსწავლეები, კითხულობენ დებულებას და აღნიშნავენ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება. მცდარი დებულების შემთხვევაში, ასნორებენ. მცდარი პასუხის დროს, მოსწავლეები მსჯელობენ ამ თემასთან დაკავშირებით.

ძალიან საინტერესოა „ვინ უპასუხებს შეკითხვებს“ – ვამზადებ ბარათების ორ კომპლექტს, ერთში შეკითხვებია, მეორეში – პასუხები. ერთი მოსნავლე კითხულობს შეკითხვას, მოსწავლეები, რომლებსაც პასუხების ბარათები აქვთ, ეძებენ შესაბამის პასუხს.

აქტივობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ბარათების ჯაჭვურად ქცევა. ამისათვის შეკითხვები ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ პასუხები სწორი თანმიმდევრობით მიდიოდეს, არ წყდებოდეს ჯაჭვი. ერთი შეკითხვის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა ამოარჩიონ, რომელი შეკითხვა იქნება მისი გაგრძელება.

ხშირად მოსწავლეებს ვურიგებ ბარათებს „რჩევა მასწავლებელს“ და ვთხოვ, დაწერონ, რა სურთ – როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის უფრო საინტერესო? რომელ აქტივობაში ჩაერთვებოდნენ ხალისით? და სხვ. რა თქმა უნდა, ბარათები ანონიმურია, რათა მოსწავლეებმა საკუთარი აზრი თავისუფლად გამოხატონ. განმავითარებელი შეფასების ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, ვიღებ მოსწავლეებისგან ინფორმაციას, ერთი მხრივ, მათი საჭიროებების შესახებ და, მეორე მხრივ, საშუალება მეძლევა, შევქმნა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სასწავლო პროცესი მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დავგეგმო. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მსგავსი მიდგომით ნამდვილად უმჯობესდება სწავლა/სწავლების ხარისხი და, შესაბამისად, მოსწავლეთა აკადემიური შედეგები.

ამრიგად, განმავითარებელი შეფასების ძირითადი დანიშნულებაა: გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, გააუმჯობესოს სწავლა/სწავლების ხარისხი, შესაბამისად, მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, გამოავლინოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, მოძებნოს სუსტი მხარეების დაძლევის გზები. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება, რათა ამაღლდეს მოსწავლეთა მოტივაცია და გაიზარდოს მათი ინტერესი სწავლისადმი.

დანართი №1. მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები

მოსწავლის თვითშეფასება
სახელი და გვარი .....

კრიტერიუმები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასდროს
ჩემს აზრს ღიად გამოვთქვამ				
ვთანამშრომლობ ჯგუფის წევრებთან				
დაკისრებულ ფუნქციას ვასრულებ				
განსხვავებულ აზრს ვითვალისწინებ				

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლის თვითშეფასების სქემა

რა იყო გაკვეთილზე შენთვის ყველაზე საინტერესო?	
რა გააკეთე კარგად? რა იყო შენი წარმატების მიზეზი?	
რა ვერ გააკეთე კარგად? რა იყო შენი წარუმატებლობის მიზეზი?	
რა გინდა, შემდეგში უკეთ გააკეთო?	

ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის თვითშეფასების სქემის ნიმუში

აქტიურად ვიყავი ჩართული ჯგუფურ მუშაობაში	ყოველთვის,ზოგჯერ, არასოდეს
როცა სხვა ლაპარაკობს, ვუსმენ ყურადღებით	ყოველთვის, ზოგჯერ, არასოდეს
განსხვავებულ აზრს ვითვალისწინებ	ყოველთვის, ზოგჯერ, არასოდეს
ვიცავდი ჯგუფში მუშაობის წესებს	ყოველთვის, ზოგჯერ, არასოდეს
ჩემი მოსაზრება იყო მნიშვნელოვანი	ყოველთვის, ზოგჯერ, არასოდეს

დანართი №2. ჯგუფური მუშაობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (იხ. ქვემოთ)

დანართი №3. გასასვლელი ბილეთების ნიმუში

თეა ძაგნიძე
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ბიოლოგიის წამყვანი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. სტატია – პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“, კონსულტანტ-მასწავლებელი ლია სვიმონიშვილი;
2. ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“ – ეფექტური განმავითარებელი შეფასება – 26 ოქტომბერი, 2016, სოფო გორგოძე;
3. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი [თბ., 2008]. განმავითარებელი შეფასების შესახებ. www.mastsavlebeli.ge – 28 ოქტომბერი, 2013, გიორგი ნოზაძე;
4. განმავითარებელი შეფასების საშუალებები – ინტერნეტგაზეთი www.mastsavlebeli.ge 15 ოქტომბერი, 2014, ნინო ლაბარტყავა;
5. განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება. ინტერნეტსახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. მარინა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი.

კრიტერიუმები	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	არადამაკმაყოფილებელი
სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო მეტ-ნაკლებად ორგანიზებული იყო, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა, თუმცა, ზოგიერთი წევრი არ იყო აქტიურად ჩართული.	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა. ჯგუფის ნაწილი არ იყო ჩართული.	სამუშაო არ იყო ორგანიზებული. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილებულა. ჯგუფის უმრავლესობა არ იყო ჩართული.
თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ საუკეთესო თანამშრომლობის და აზრთა გაზიარების უნარი.	მეტ-ნაკლებად აქვთ თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების უნარი.	ნაწილობრივ აქვთ თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების უნარი.	არ შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო. არ გააჩნიათ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი.
ამოცანის პირობის ადეკვატურად გააზრება	ძალიან კარგად გაიაზრეს ამოცანის პირობა და ამოხსნეს სწორად.	ამოცანის პირობა მეტ-ნაკლებად გაიაზრეს და მეტ-ნაკლებად ამოხსნა ამოცანა.	ამოცანის პირობა ნაწილობრივ გაიაზრეს და ნაწილობრივ ამოხსნეს ამოცანა.	ამოცანის პირობა ვერ გაიაზრეს და ვერ ამოხსნეს ამოცანა.
პრეზენტაციის ეფექტურობა	პრეზენტაციისას წარმოადგინეს მთავარი იდეა. საუბარი ლოგიკური, არგუმენტირებული და გასაგებია. არ უჭირთ აუდიტორიასთან კონტაქტი.	პრეზენტაციისას წარმოადგინეს მთავარი იდეა, საუბარი გასაგები და ლოგიკურია, მაგრამ უჭირთ არგუმენტების მოყვანა და აუდიტორიასთან კონტაქტი.	პრეზენტაციისას უჭირთ მთავარი იდეის წარმოდგენა. საუბარი ბუნდოვანი და ულოგიკოა, უჭირთ არგუმენტების მოყვანა და აუდიტორიასთან კონტაქტი.	პრეზენტაციისას ვერ წარმოადგინეს მთავარი იდეა, საუბარი გაუგებარი და ულოგიკოა, მოკლებულია ყოველგვარ არგუმენტს. უჭირთ აუდიტორიასთან კონტაქტი.
დროის ლიმიტის დაცვა	იცავენ დროის ლიმიტს.	მეტ-ნაკლებად იცავენ დროის ლიმიტს.	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა.	საერთოდ ვერ იცავენ დროის ლიმიტს.

სასკოლო აქტივობა

ხანძრის სიმულაცია

სსიპ-ქალაქ თბილისის №103 საჯარო სკოლა (დირექტორი – **არჩილ ჩხაიძე**) ჩართულია თანამედროვეობისთვის უმნიშვნელოვანეს ორ პროექტში – „ახალი სკოლის მოდელი“ და „სკოლის ოპერირება და მოვლა-პატრონობა“. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, შემუშავდა ერთობლივი პროექტი, რომელიც ეხმიანება მდგრადი განვითარების გლობალურ მიზანს – „ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება“.

პროექტის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურთან ერთად, 3 მაისს, სკოლაში „ხანძრის სიმულაცია“ გამოცხადდა, რომლის მიზანი იყო გვენახა, საგანგებო სიტუაციაში (ხანძარი) რამდენად დაცულია სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება, რამდენად გამართული და ეფექტურია სკოლის საგანგებო სიტუაციების შტაბის ცალკეული ჯგუფისა და სამაშველო სამსახურის კოორდინირებული საქმიანობა.

ცხადია, აღნიშნული ღონისძიების შესახებ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული მოსწავლეთა მშობლები და მათგან მხარდაჭერაც გვქონდა, რადგან პროექტი სასკოლო ღონისძიებებში მშობელთა ჩართულობასაც გულისხმობს. ამ მიზნით, მშობლებს შორის, მოვიძიეთ სამედიცინო განათლების მქონენი, ისინი, სკოლის ექიმთან ერთად, ე.წ. „ხანძრისგან დაშავებულთათვის“ პირველადი დახმარების აღმოჩენაში მიიღებდნენ მონაწილეობას. წინასწარ იყო გაფრთხილებული თბილისის მერია, საპატრულო პოლიცია, სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მანდატურის სამსახური. პროექტი ფართომასშტაბიანი იყო და თემის ჩართულობასაც გულისხმობდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა სამსახურის მხრიდან საოცარი მხარდაჭერა გვქონდა.

პირველ რიგში, გამოიკვეთა სკოლის საგანგებო სიტუაციების შტაბის კოორდინირებული და ეფექტური მუშაობა, რადგან სწორედ შტაბის წევრებმა შეძლეს სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ორგანიზებული ევაკუაცია, ასევე, მათ გაიტანეს სასკოლო დოკუმენტაცია და ტექნიკა და „უსაფრთხო“ ადგილას დაასაწყობეს, ხოლო განგაშიდან 3-4 წუთის შემდეგ, ხანძრის ჩაქრობაში უკვე სამაშველო სამსახურები ჩაერთნენ. მათ რამდენიმე წამში მოახერხეს „ხანძრის ლოკალიზება“, შენობაში დარჩენილების სხვადასხვა გზით (კალათი, ბაგირი) გამოყვანა და პირველადი დახმარების აღმოჩენა.

ამ დღემ დაგვანახა, რომ სკოლა და სამაშველო სამსახურები მზად არიან გამოწვევებისთვის და ჩვენი სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის, გარანტირებულად, შექმნილია სიცოცხლისა და საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემო.

ნანა შენგელიძე
სსიპ-ქალაქ თბილისის №103 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

შეხვედრა მწერალთან

გამორჩეულად ლამაზია ჩვენში გაზაფხული... სულ ახლახან ბრწყინვალე აღდგომას მივეგებეთ, მერე კვირაცხოვლობას, ახლა კი გიორგობისას მოგიყვებით – ამ არაჩვეულებრივ, მადლიან დღეს, სკოლა „თამარიონი“ მასპინძლობდა ჩვენი დროის ნიჭიერ ხელოვანს – მწერალს, პოეტსა და დრამატურგს, **ნინო /ნინია/ სადღობელაშვილს.**

VIII[2] კლასის მოსწავლეებმა ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს, წიგნიერების დღესასწაული... ბავშვებმა სტუმრის შემოქმედების შესაშური ცოდნა გამოავლინეს, რითაც სასიამოვნოდ გააოცეს ავტორი და ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოება. ამ არაჩვეულებრივი შეხვედრის სულისჩამდგმელი და მოთავე გახლდათ კლასის დამრიგებელი **ნინო მოლაშხია.** მის მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებას დავსწრებივართ „თამარიონში“ და ყოველთვის შთაბეჭდილებით სავსე წავსულვართ სკოლიდან. თითოეული მოსწავლის ემოცია და მღელვარება ისეთი გადამდები იყო ჩვენთვისაც, რომ ვერც კი ვიგრძენით, როგორ გავიდა დრო.

„თამარიონს“ შემოქმედი მოსწავლეები ჰყავს, რომლებიც უნატიფესად ქარგავენ ფურცლებზე ყველა სიტყვას ბწკარ-ბწკარობით და მსმენელამდე მიაქვთ ის სურნელება, სწორედ გაზაფხულზე რომ შემოიფრქვევა ჩვენში, რაღაცნაირად აგვიფორიაქებს სულს... პატარა მასპინძლები თავს არ ზოგავდნენ, რიხით და გულმოდგინედ კითხულობდნენ ნაწყვეტებს მწერლის შემოქმედებიდან, რომელმაც მადლიერებით სავსე სიტყვებით მიმართა მასპინძლებს: *„მართლა არაჩვეულებრივი, საინტერესო და შთამბეჭდავი დღე იყო, არასდროს რომ არ დამავიწყდება, ისეთი! უღრმესი მადლობა სკოლა „თამარიონს“ და ნინო მოლაშხიას, არაჩვეულებრივ ბავშვებს – მათი გულისცემა მესმოდა კიდეც და მადლობა მათ ამ გულწრფელი განცდისთვის! ყველა მასწავლებელს, ვინც ასეთ მაგარ სკოლას ქმნის, წარმატებები ყველას! რამდენი სიურპრიზი დამხვდა, რა ძვირფასი ადამიანები ვნახე და მოგონებები გავიცოცხლე! გმადლობთ, გმადლობთ და გმადლობთ ყველაფრისათვის!“*

თეა აბუთიძე
პედაგოგი

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ ვიყენებ მათემატიკურ ლოტოს მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად

როგორც ცნობილია, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მათემატიკაში. ხშირად გვესმის მოსწავლეებისაგან: „მათემატიკა რთული მეცნიერებაა, მისი სწავლა ყველას არ შეუძლია!..“ აღნიშნული პრობლემის მიზეზი მოსწავლეთა დაბალი მოტივაციაა.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის აუცილებელია მათთვის ხალისიანი სასწავლო გარემოს შექმნა, რაშიც ერთ-ერთი მთავარი როლი საგანმანათლებლო რესურსს ეკისრება. ვინაიდან სასწავლო რესურსის ნაკლებობას განვიცდი, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, გადავწყვიტე შემექმნა ე.წ. „მათემატიკური ლოტო“, გამოუყენებელი, გადასაყრელად გამზადებული რვეულების ყდების, A4 ზომის ფურცლების (რომლებსაც ერთი მხარე სუფთა აქვთ) და კომპიუტერის გამოყენებით.

შევაგროვეთ რვეულების ყდები, A4 ზომის ფურცლები და შევქმენით „მათემატიკური ყულაბა“, რომელშიც მოვათავსეთ მოსწავლეების მიერ მოტანილი მასალები – ტესტები სხვადასხვა თემაზე, მარტივი ტიპის ამოცანები, გამოსახულების გამარტივება, შეკრებისა და გამრავლების კანონების შემცველი სავარჯიშოები (აღნიშნული კანონების მიზნობრივი გამოყენებისთვის), მოქმედებები ნატურალურ რიცხვებსა თუ წილადებზე, შერეული რიცხვის გადაქცევა არაწესიერ წილადად და პირიქით, არაწესიერი წილადიდან მთელი და წილადი ნაწილის გამოყოფა, ზომის, მასისა და დროის სხვადასხვა ერთეულის გამოყენება და ერთმანეთთან დაკავშირება, წრეწირისა და მისი ნაწილების ცნება და გამოყენება, სივრცული ფიგურების ცნება, მრავალკუთხედის პერიმეტრის, კვადრატისა და მართკუთხედის ფართობის გამოთვლა და ზოგიერთი ლოგიკური ამოცანაც კი. „მათემატიკურ ყულაბაში“ თითოეულმა მოსწავლემ მოათავსა, არანაკლებ, 30-30 საკითხი, მე კი – 50.

„მათემატიკური ყულაბიდან“ შევქმენით მათემატიკური ლოტო, რომელიც შედგება თითო კარტისა და 14 კუპონისაგან, რომელთაგან 9 კუპონზე სწორი პასუხია დაწერილი, ხოლო 5 კუპონზე – არასწორი.

რვეულის ყდის ერთ ნაწილზე, შიდა მხრიდან, დავაწებეთ A4 ფურცლის 1/2-ზე (ე.წ. კარტი) დაბეჭდილი საკითხები, კერძოდ, ტესტები, დებულებები, მარტივი ამოცანები, გასამარტივებელი გამოსახულებები, კანონები, რომლებიც ზეპირ ვარჯიშში და სავარჯიშოს რაციონალური ხერხით ამოხსნაში გვეხმარება, ხოლო რვეულის ყდის მეორე ნაწილზე კი – A4 ფურცლის 1/2-ზე დაბეჭდილი საკითხების პასუხები, რომელიც დავჭერი (ე.წ. კუპონი). თითოეული მათემატიკური ლოტო მოვათავსეთ კონვერტებში.

მასწავლებლის მაგიდაზე დალაგებულია კონვერტები, ჩემი მითითებით მოსწავლეები იღებენ თითო კონვერტს/მათემატიკურ ლოტოს, კონვერტიდან იღებენ კუპონებსა და კარტს, მაგიდაზე აწყობენ ნაწერით ქვემოთ, ურევენ ერთმანეთში (ეს ამ აქტივობას თამაშის ელფერს სძენს და ბავშვს ინტერესს უღვივებს), შემდეგ ამოაბრუნებენ კუპონებსაც და კარტსაც, მოსწავლეები კარტზე კითხულობენ კითხვას და მას კუპონებიდან უსადაგებენ შესაბამის პასუხს. კარტზე კუპონებს „ამობრუნებულად“ დებენ ისე, რომ რვეულის ყდის სურათიანი მხარე ზემოთ იყოს. თუ კარტზე პასუხები სწორადაა დაწყობილი, მასწავლებელი ერთი შეხედვით მიხვდება, მოსწავლეებმა სწორად შეასრულეს თუ არა მიცემული დავალება/„სწორად ითამაშა თუ არა ლოტო“, რადგან სწორი პასუხების ერთობლიობა ერთ სრულ სურათს შექმნის (ეს მოსწავლეებისთვის საიდუმლოა!..).

პრაქტიკიდან გამომდინარე ვფიქრობ, ჩემ მიერ, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, დამზადებული რესურსი ერთდროულად ეფექტურიც არის და ეფექტიანიც, რადგან ის შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და მეხმარება დასახული შედეგის მიღწევაში, იაფია, შესანახად და გამოსაყენებლად ადვილი, მრავალჯერადია, მისი გამოყენება შეიძლება როგორც მე-5, ასევე მე-6 კლასში, სხვადასხვა თემის შესწავლისას/განმტკიცებისას, გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე. ჯგუფური, წყვილური თუ ინდივიდუალური მუშაობისას, მათემატიკური ლოტო იძლევა უნარების კომპლექსურად განვითარების საშუალებას, როგორიცაა სოციალური უნარები, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ზეპირი ვარჯიში და სხვ.

მათემატიკური ლოტო ითვალისწინებს მოსწავლეთა ცხოვრებისეულ თუ სასწავლო გამოცდილებას, მან იმდენად დააინტერესა მოსწავლე, რომ საკითხი, რომელიც გაუჭირდა, შეეცადა დამოუკიდებლად თუ სხვისი დახმარებით ესწავლა, რათა მომდევნო „თამაშის“ დროს „დროში ჩამჯდარიყო“ და სხვისთვის მოესწრო თამაშის დამთავრება. რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და უძლიერებს მათ თანამშრომლობის სურვილს, ჯგუფური და წყვილური მუშაობის დროს ერთად ფიქრსა და ერთად კეთებას მოითხოვს. რესურსმა/მათემატიკურმა ლოტომ წაახალისა მოსწავლეები, ჩაუღრმავდნენ საკითხს – გააანალიზონ, შეხედონ სხვადასხვა კუთხიდან და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნა, იგი უბიძგებს მოსწავლეებს თეორიული მასალა დაუკავშირონ რეალობას, პრაქტიკას.

საგანმანათლებლო რესურსი „მათემატიკური ლოტო“ მორგებულია კონკრეტული კლასის, ასაკის, ჯგუფის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. სსსმ მოსწავლის, ნიკა ფ-ძის ინდივიდუალური საწავლო გეგმიდან გამომდინარე, მისთვის შევქმენი მათემატიკური ლოტო „რიცხვის ამოცნობა 1-დან 5-მდე“.

მათემატიკური ლოტოს გამოყენება მოსწავლეებს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში ეხმარება, მათთვის სასწავლო პროცესი სახალისო და საინტერესო გახდა, გაიზარდა მოტივაცია და გაკვეთილის მსვლელობაში მთელი კლასი ჩაერთო, რამაც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება უზრუნველყო.

ერთი სიტყვით, მოსწავლეთა თანამშრომლობით დამზადებულმა სასწავლო რესურსმა „მათემატიკური ლოტო“ არა მარტო გაამრავალფეროვნა სასწავლო პროცესი, არამედ გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და, შესაბამისად, უზრუნველყო უკეთესი შედეგი – მუშაობენ მხიარულად, მონდომებით, უმაღლდებათ მოტივაცია მათემატიკის სწავლის მიმართ და მიდიან დასკვნამდე, რომ შეუძლებელი არაფერია და ყველას აქვს უნარი ისწავლოს მათემატიკა!..

ლალი კირჩხელი
სსიპ ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეს საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) სატრენინგო მასალა;
2. გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი – მათემატიკა მე-5 კლასი;
3. გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი – მათემატიკა მე-6 კლასი;
4. https://www.wikipedia.org/ – თამაშით სწავლება.

ქართულის სწავლებისთვის

ფრაზეოლოგიზმების დანიშნულება ქართულში

ყოველი ენის უნიკალურობას, ორიგინალობასა და განსხვავებულობას ქმნის მისი ლექსიკა, მასში არსებული ეროვნული მსოფლაღქმა. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები ობიექტური სამყაროს სინამდვილეს საკუთარი ლექსიკური ერთეულებით ანაწევრებენ, რაშიც მათ ფრაზეოლოგიზმები ეხმარებათ.

რა არის ფრაზეოლოგიზმი? ფრაზეოლოგიზმი არის სიტყვათა მყარი შესიტყვება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის. მისი შემადგენელი სიტყვები ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ გაიგება არა ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა, არამედ მთელი ფრაზის. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ფრაზეოლოგიზმში შემავალი სიტყვების ჯამი უდრის ერთ მნიშვნელობას. ფრაზეოლოგიზმის უპირველესი ფუნქცია ენის გამხატვრულებაა. როგორც ვიცით, ჩვენს ენას საკმაოდ მდიდარი ლექსიკური ფონდი აქვს. ქართული პოლისემიური ენაა. უამრავი ერთი და იმავე სემანტიკის მქონე სიტყვა მოგვეპოვება, რომელთაც სინონიმებს ვუწოდებთ. ხშირ შემთხვევაში, ერთი მნიშვნელობის მქონე უამრავი სიტყვა იყრის თავს ჩვენს მეტყველებაში, რაც, იმავდროულად, ტავტოლოგიასაც იწვევს. ასეთ შემთხვევებში კი, კარგი გამოსავალი ხატოვანი გამოთქმების გამოყენებაა, რაც ერთგვარად აგვაცილებს პლეონაზმის პრობლემას.

დღეს უამრავი არა მარტო ქართული წარმომავლობის, არამედ ბერძნული მითოლოგიიდან შემოსული ხატოვანი გამოთქმა გვესმის. ეს გამოთქმები ხშირად კონტექსტთან შეუსაბამობაშია იმის გამო, რომ მათ ისე იყენებენ, მნიშვნელობა არ ესმით. არ ვიცით ბევრი ულამაზესი ქართული სიტყვის მნიშვნელობა, მით უფრო, კარგად არ ვიცნობთ და არ ვიყენებთ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც ჩვენი ენის სიმდიდრისა და სიტყვაკაზმულობის ნიშანია. ხატოვან სიტყვებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, მათი ეტიმოლოგიის თუ არა, მათი მნიშვნელობის შესწავლა, აუცილებელია, რაც ერთგვარად გაამრავალფეროვნებს ჩვენს მეტყველებას და გაამდიდრებს ლექსიკურ მარაგს, ხელს შეუწყობს წერითი კულტურის დახვეწას. გიორგი ლეონიძე, ალბათ, ასეთ გამოთქმებს გულისხმობდა, როცა ამბობდა შემდეგ სიტყვებს: „ოხ, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვა“. ქართული ძარღვიანი ენაა, მის ამ თვისებას კი, ფრაზეოლოგიზმების სიუხვე განაპირობებს. არაერთი ფრაზეოლოგიზმის მოხმობა შეგვიძლია, რომელიც თანდათან მივიწყებას ეცემა. მაგალითად: „პირში ჩალა გამოავლო“ – მოატყუა, „დანა პირს არ უხსნის“ – დამწუხრებულია, „ფრთები გამოესხა“ – გაუხარდა, „ვარსკვლავებს ეთამაშება“ – საოცრად ლამაზია... ასევე, მინდა შევეხო იმ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც ჩვენს ენაში გარკვეული ისტორიისა და ეროვნული ნიშნის მატარებელია. მაგალითად, ქუდი, რომელიც კაცისათვის პატიოსნებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო იყო და მას „ნამუსის ქუდად“ მოიხსენიებდნენ; ასევე, ვაჟკაცობისა და სინდისის მიმანიშნებელი იყო ულვაშიც. „ნამუსის ქუდი არ გახურავს“, როდესაც ამ ფრაზეოლოგიზმით მიმართავდნენ ვინმეს, გულისხმობდნენ მიმართვის ობიექტის უღირს საქციელს. საკმაოდ რთული მისია ჰქონდათ შესასრულებელი ხევსურებს იმისთვის, რომ ამაყად ეტარებინათ ნამუსის ქუდი, რაც მათგან სისხლის აღებას მოითხოვდა. ყველა ფრაზეოლოგიზმი სემანტიკურად იყო დაკავშირებული გარკვეულ ტრადიციასთან. იმისათვის, რომ გაბრაზებული და გულმოსული ადამიანის მდგომარეობა უფრო მხატვრულად და შთამბეჭდავად გადმოვცეთ, არაერთი ქართული ფრაზეოლოგიზმი დაგვეხმარება, მაგალითად: „თოფის წამალივით იფეთქა“, „გული მოუვიდა“, „ცხენიან კაცს დაბლა ჩამოიღებს“, „გაანჩხლდა“, „ბრაზი ახრჩობს“. ბუნებრივია, ამდენი ერთი და იმავე მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმის არსებობა ენის მდიდარ ლექსიკაზე მეტყველებს.

ჩვენს ენაში არაერთი ისეთი ფრაზეოლოგიზმია, რომელიც ერთსა და იმავე ზმნასთან გამოყენებული არსებითი სახელებით მივიღეთ. მაგალითად: „წარბი შეიკრა“, „კრიჭა შეეკრა“, „ხელ-ფეხი შეეკრა“, „მტერს შეეკრა“. ასევე, ერთ არსებითთან სხვადასხვა ზმნა – „წარბი გახსნა“, „წარბი შეკრა“, „წარბები შეჭმუხნა,“ „წარბი ასწია“. თითოეული ამ ფრაზეოლოგიზმის ეტიმოლოგია, ბუნებრივია, ერის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს. ამიტომაცაა, რომ ენა არა მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურა-სისტემაა, არამედ სოციალური ინტერაქციისა და კულტურის შემქმნელი საშულებაა. ენა ერთგვარად სიტყვათა და გამონათქვამთა საწყობია, რომელშიც ასახულია საზოგადოების გამოცდილება, რწმენა-წარმოდგენები, ცვლილებები და კავშირები. ენა ვერბალიზებული, სიტყვიერად გამოხატული კულტურაა. არ არსებობს ადამიანური ქმედების არც ერთი გამოვლინება, რომლებიც ენის ამა თუ იმ ლექსიკურ ფენაში არ დალექილიყოს. თითოეული ფრაზეოლოგიზმი ასახავს ერის კულტურულ თვითმყოფადობასა და ცნობიერებას, მის მენტალობას. ჩვენ ვიცით, რომ ენისა და კულტურის ანალიზი, ფრაზეოლოგიური მონაცემების გარეშე, არასრულყოფილი იქნებოდა. დრო და საზოგადოების მენტალობის ცვლილება თავისთავად ქმნის ახალ-ახალ ფრაზეოლოგიზმებს, ნაწილს აღმოაჩენს და მეტყველებაში ამკვიდრებს. მაგალითად, დღეს უკვე აღარ იყენებენ შემდეგ ფრაზეოლოგიზმებს: „ადამის ჟამი“ – უძველესი, „ათასი ქისა მარჩილი“. ფრაზეოლოგიზმი, რომელიც არქაული სიტყვის მატარებელია და დღეს ის, როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეული, უბრალოდ აღარ გამოიყენება, გულისხმობს მთლიანი ფრაზეოლოგიზმის არქაულ ფორმად ქცევასა და დაკარგვას. არქაული სიტყვა „მარჩილით“, ძველად, ფულს აღნიშავდნენ, რაც ქართულად სამი აბაზის ტოლფასი იყო. რომელიმე დიდი ნივთის ღირებულების დასასახელებლად, სწორედ, ამ ფრაზეოლოგიზმს იყენებდნენ – „ათას ქისა მარჩილად ვერ მოგცემო“. ამ მხრივ საინტერესოა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ნახსენებია ფრაზა – „ლარსა ხვეტდიან“, რაც სიმბოლურად სიმდიდრის მოხვეჭას ნიშნავს. ამ ლექსიკური ერთეულის კავშირი დღევანდელობასთან ნათელია. დღეს, ლარი არა სიმდიდრეს, არამედ ფულის ერთეულს აღნიშნავს. ასე რომ, რუსთველისეულმა ლარმა დღევანდელ ლექსიკაში აქტიური გამოყენების ადგილი დაიკავა.

ფრაზეოლოგიზმების არასათანადო ცოდნამ პრობლემა შექმნა ესესა თუ მხატვრული ანალიზის წერის დროს. ასეთი თხზულების შექმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტილს, მხატვრულ ხერხებსა და, რა თქმა უნდა, ხატოვანი გამოთქმების გამოყენებას. მოსწავლეთა ლექსიკა იმდენად მწირია, რომ ტავტოლოგიას ვაწყდებით. ფრაზეოლოგიზმებს ხშირად იყენებდნენ ქართველი მწერლები. არქაული ფორმები არ ესმით მოსწავლეებს და მთელი ხატოვანი გამოთქმა მათთვის გაუგებარია. მაგალითად, მოსწავლეებმა არ იციან არქაული სიტყვის „ალალი“ მნიშვნელობა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს „ოთარაანთ ქვრივში“ აქვს გამოყენებული – „ალალმა დაჰქროლაო“, რაც მტაცებელ ფრინველს უნდა ნიშნავდეს. ფრაზეოლოგიზმის საწყის წყაროდ შეიძლება იქცეს რომელიმე მწერლის ნაწარმოების კონკრეტული პერსონაჟი, რომელიც, ძირითადად, პიროვნების დასახასიათებლად გამოიყენება. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომლის მთავარი პერსონაჟის სახელი იქცა მოხერხებული, გაიძვერა და გაქნილი ადამიანის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიზმად. საბედნიეროდ, არსებობს ისეთი ხატოვანი გამოთქმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება და შემორჩა ჩვენს მეტყველებას: „ქვეყანა ჩალით არის დახურული“ – ხალხი უპატრონოდ არის დარჩენილი; „სიტყვა ბანზე აუგდო“ – მოლაპარაკე თავიდან მოიშორა; „ჩაილურის წყალი დალია“ – უკვალოდ დაიკარგა; „ახალი მთვარესავით გამოჩნდა“ – იშვიათად გამოჩენა; ასევე, ხშირად გამოიყენება ბერძნული მითოლოგიიდან დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები, რომელთა მნიშვნელობა მოსწავლეებისათვის ხშირად უცნობია, გამომდინარე იქიდან, რომ ფრაზეოლოგიზმი, სტრუქტურულ-სემანტიკური, გრამატიკული, სტატისტიკური თუ ფუნქციური თვალსაზრისით, სიტყვისაგან განსხვავებული რთული ენობრივი ერთეულია და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ფრაზეოლოგიზმების ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა ჩვენს ენაში მოვძებნოთ მისი შესატყვისი ეკვივალენტი. ასეთი გამოთქმებია: „აქილევსის ქუსლი“ – ადამიანის სუსტი მხარე, „არიადნეს ძაფი“ – რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევა, „სიზიფეს შრომა“ – დაუსრულებელი და უნაყოფო შრომა, „პანდორას ყუთი“ – ყოველგვარი უბედურების წყარო.

ასე რომ, ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ჩვენი ლექსიკური ფონდის გამდიდრებისა და პლეონაზმის დაძლევის თვალსაზრისით.

ნინო დოლენჯაშვილი
თბილისის №182 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

პედაგოგთა დასახმარებლად

მკაფიო და დაზუსტებული ინსტრუქციები, როგორც წარმატებული აქტივობის აუცილებელი წინაპირობა

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგად იკვეთება, რომ, ხშირ შემთხვევაში, არც თუ ისე წარმატებული აქტივობების მიზეზი არასწორად ფორმულირებული ან დაუზუსტებელი ინსტრუქციებია.

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომელიც სწავლების პროცესში ინსტრუქციების გაცემის დროს უნდა გაითვალისწინოთ:

➢ **მიეცით მოსწავლეს დონის შესაბამისი ინსტრუქციები.** ესაუბრეთ გასაგები ლექსიკით, მარტივად ფორმულირებული წინადადებებით, მშვიდი ტონითა და ზომიერი ტემპით. წინააღმდეგ შემთხვევში, მოსწავლემ არ იცის რას ვითხოვთ მისგან და ეს გამოიწვევს დავალების არასწორად შესრულებას.

➢ **ეცადეთ ერთ ჯერზე არ გასცეთ რიგი (მრავალდონიანი) მითითებები.** უმჯობესია, დაანაწევროთ ინსტრუქცია და სწორი მიმდევრობით დაალაგოთ, რათა მოსწავლემ შეძლოს დაიმახსოვროს შესასრულებელი აქტივობების თანმიმდევრობა. ბუნებრივია, რთულია, მოსწავლემ შეძლოს რამდენიმე მითითების ერთბაშად დამახსოვრება და განხორციელება.

➢ **გააკეთეთ მოდელირება და მიეცით მაგალითი.** თავად აჩვენეთ პირველი მაგალითი და ნიმუშის მიხედვით სთხოვეთ მოსწავლეებს დავალების შესრულება. ამ ფორმით დემონსტრირებული ინსტრუქცია უტყუარი წინაპირობაა, რომ მოსწავლე თავადაც წარმატებით გაართმევს თავს დავალებას.

➢ **დაასრულეთ ინსტრუქციების გაცემა და ამის შემდეგ დაარიგეთ სამუშაო ფურცლები.** თუ მასწავლებელი რესურსს არიგებს და, ამავდროულად, იძლევა ინსტრუქციას ან ჯერ დაარიგებს სამუშაო ფურცლებს და ამის შემდეგ იწყებს ინსტრუქციის გაცემას, ორივე შემთხვევაში, მოსწავლის კონცენტრირება ხდება მიწოდებულ რესურსებზე და გვაქვს ყურადღების დეფიციტი. თავს იჩენს ქცევის პრობლემები და მასწავლებელი ამაოდ ცდილობს სამუშაო ფურცლების აღმოჩენა/გამოკვლევით დაკავებული მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნულის გამო, მოსწავლეს ინსტრუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გამორჩება და სათანადოდ ვერ შეასრულებს დავალებას.

➢ **დააზუსტეთ ინსტრუქციები.** „ვასწავლე“, ხშირად, არ ნიშნავს „ვისწავლე“-ს. ინსტრუქციების გაცემის შემდეგ, პედაგოგი ხშირად სვამს შეკითხვას: გასაგებია ყველაფერი? არის შეკითხვები? მსგავს შეკითხვებზე დადებითი პასუხები თავის დასამშვიდებლად არ გამოდგება და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტად, რომ ინსტრუქციები გასაგებია მოსწავლეებისთვის, რადგანაც კლასში ხშირად აღმოჩნდებიან მორცხვი/გაუბედავი მოსწავლეები, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები აქვთ, მოერიდებათ ხმამაღლა ამის გაცხადება. სხვა შემთხვევაში კი, არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ გაიგეს, თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდება ხოლმე, არასწორად გაიგეს ინსტრუქცია. სწორედ ამიტომ პედაგოგმა უნდა გადაამოწმოს, პირდაპირი და არაპირდაპირი შეკითხვებით, რამდენად სწორად იქნა აღქმული გაცემული ინსტრუქციები.

დარწმუნებული იყავით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით გაცემული ინსტრუქციების შემდეგ, დაგეგმილი აქტივობა წარმატებით ჩაივლის.

რუსუდან კარკაძე
ქუთაისის შპს №1 სკოლის წამყვანი პედაგოგი

სწავლების ინტერაქტიული მეთოდები

ნინო წილოსანი
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის დირექტორი, მათემატიკის უფროსი მასწავლებელი

ინტერაქტიული (*Inter* – ორმხრივი, *act* – მოქმედება) ნიშნავს ურთიერთმოქმედებას. აქტიური მეთოდებისგან განსხვავებით, იგი ორიენტირებულია მოსწავლეების უფრო ფართო ურთიერთობაზე არა მხოლოდ მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთან, ამიტომაც განვიხილავთ მას აქტიური მეთოდების ყველაზე თანამედროვე ფორმად.

ინტერაქტიულ მეთოდებს მიეკუთვნება: ევრისტიკული საუბარი, გონებრივი იერიში, როლური, საქმიანი თამაშები, ტრენინგები, ქეის-მეთოდი, პროექტების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა საილუსტრაციო მასალასთან, დისკუსია, ვიდეოფილმების განხილვა და ა.შ. მინდა, გაგიზიაროთ ჩემი პრაქტიკული გამოცდილება ჩამოთვლილი მეთოდების ერთობლივად გამოყენების შესახებ.

დავგეგმე ინტეგრირებული გაკვეთილი მე-5 კლასში – მათემატიკა/მუსიკა/ისტ-ის მიმართულებით, კლასში იყო 6 მოსწავლე, მათ შორის – 1 სსსმ.

მიზანი: სხვადასხვა დისციპლინებში ნასწავლის ერთმანეთთან დაკავშირება, საგანთაშორისი კავშირების დამყარება, აღქმის მთლიანობაში გაადვილება და კომპლექსური დანახვა ინტერაქტიული მეთოდით.

გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება მნიშვნელოვნად ჩავთვალე, რადგან გავიარე მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილი ტრენინგ-სემინარი edmodo. მომეწონა ფორმატი და ჩემი მოსწავლეებიც დავარეგისტრირე. როგორც ვიცით, მოზარდებში კომპიუტერი გასართობ-სათამაშო ნივთთან ასოცირდება, ასეთი გამოწვევით კი, კომპიუტერმა დანიშნულება შეიცვალა.

ამის შემდგომ მოსწავლეებს ვუგზავნიდი ტესტურ დავალებებს და, შესაბამისად, ვაძლევდი უკუკავშირს შეფასებითა და მოკლე მკაფიო კომენტარით. სისტემატურად ვუწევდი მონიტორინგს. მარტივად შესამჩნევი გახდა, რომ მოსწავლეები სულ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებულები ხდებოდნენ ინტერნეტით მიცემული დავალების შესრულებაზე. სამი საგნის ტრანსფერითა და ინოვაციით მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა სწავლა სწავლების მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველი გახდა. მათემატიკის გაკვეთილზე აქტიურად იყო ჩართული ყველა, განსაკუთრებით სსსმ მოსწავლე, რადგანაც მან შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოხატა კომპიუტერთან მუშაობით.

საკითხის აქტუალობა: მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი მასალის პრაქტიკაში (სხვადასხვა ამოცანების ამოხსნა, ცხოვრებისეული სიტუაციები) გამოყენება, თუ ის შეგნებულად ისწავლა.

ეს საკითხი აქტუალურია მოსწავლეთა სოციალიზაციაში, რადგან, მოგეხსენებათ, 21-ე საუკუნეში მთავარ მოთხოვნად ჯანსაღი თანამშრომლობა გადაიქცა.

საკითხი აქტუალურია ასევე იმიტომ, რომ თანამედროვე მოსწავლეებს, მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით, ჩვევაში უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა დისციპლინის შესწავლა, გონებრივი იერიშის მომენტში მყისიერად უნდა პასუხობდნენ თანმიმდევრულ და თანხვედრილ ფრონტალურ კითხვებს, რის საფუძველზეც, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სწავლის ხარისხი.

კვლევის/იდეის სიახლე: ჩატარებული გაკვეთილი ამ კონკრეტული სამიზნე ჯგუფისთვის სიახლე იყო. Edmodo-სა და ინტეგრირების თემატური და მეთოდოლოგიური სიახლე შემოქმედებითად მივაწოდე, მასალა კი – თანმიმდევრულად და საინტერესოდ, რამაც გაზარდა მოსწავლეთა ინიციატივა და დამოკიდებულება.

გაკვეთილის აღწერა: საგანთაშორის ინტეგრირება ლოგიკური იყო. გათვალისწინებული მქონდა ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები სტანდარტის შესაბამისად. თანმიმდევრულად და თანხვედრილად ჩატარებულმა გაკვეთილმა ხელი შეუწყო იმას, რომ მოსწავლეებმა წილადის მთელი და წილადები

$$\frac{4}{4}(1), \frac{1}{4}, \frac{1}{2}, \frac{1}{8}$$

გადაიტანეს მუსიკალური ნოტების სახით და თვალსაჩინოდ წარმოადგინეს დაფაზე. ბოლოს კი, მინი-საკრავზე შესაბამისი ნოტი წაიკითხეს და გააჟღერეს. ე.ი. მოსწავლეებმა საკითხი მრავალმხრივ გაიაზრეს და პრაქტიკულად გვაჩვენეს. სკოლაში დაინერგა ანალოგიური მეთოდის გამოყენება. V-VI კლასების მოსწავლეები და სხვადასხვა საგნების მასწავლებლები აქტიურად ჩაერთვნენ ინოვაციურ გამოწვევაში. ფოკუსირებული დაკვირვება 2017-2018 სასწავლო წელს დავიწყე. დიაგრამიდან ჩანს, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობა გაიზარდა.

გაკვეთილი პროფესიულ განვითარებაში დაეხმარა კოლეგებს, უბიძგა მათ ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვისაკენ.

მეც და ჩემი კოლეგებიც, პედაგოგიურ პრაქტიკაში Edmodo-ს ხშირად ვიყენებთ. ასე ჩატარდა შიდა დაკვირვების გაკვეთილი ისტ-ში, Edmodo-ში – იმავე კლასში; დაიგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილები: ქართული-ისტ, მათემატიკა-ქართული, გეოგრაფია-ბიოლოგია, ასევე, ერთობლივი გასვლითი ღონისძიებები. საკითხის ირგვლივ არსებულმა კვლევამ მიჩვენა, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაცია და სწავლა-სწავლების ხარისხი გაიზარდა.



კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით, მონაცემთა შეგროვებისთვის, სხვადასხვა მეთოდი გამოვიყენე: სადიაგნოსტიკო ტესტირება (პრე და პოსტ), ფოკუსჯგუფი მასწავლებლებთან, ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან და ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე.



უბრალო დაკვირვება

კვლევის საწყის ეტაპზე უბრალო დაკვირვება გამოვიყენე, შემდეგ ეტაპზე კი – ფოკუსირებული დაკვირვება. მოსწავლეებს ვაკვირდებოდი, როგორ ახერხებდნენ გაკვეთილზე Edmodo-ს პროგრამაში მუშაობას და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას ინტეგრირების პროცესში; რომელი მათგანის გამოყენებისას იზრდებოდა მოსწავლეთა ჩართულობა, ასევე რომელი მეთოდის გამოყენება ზრდიდა მათ ინტერესსა და ხალისს საკლასო დავალების შესრულებისას.

ფოკუსირებული დაკვირვება

ჩემი მიზანი იყო, ფოკუსირებულად დავკვირვებოდი კონკრეტულად რომელ მეთოდს იყენებდნენ, ასევე დამედგინა, რამდენად იყვნენ ჩართული მოსწავლეები ამ პროცესში და რომელი მეთოდით მუშაობდნენ უფრო მეტი სიამოვნებითა და ხალისით.

დასკვნა

ცნობილია, რომ მოსწავლე ყველაზე უკეთ მაშინ სწავლობს, როცა აქტიური და ქმედითია. ასეთ პირობებში ახერხებს იგი საკუთარი თავის რეალიზებას და შესაძლებლობების გამოვლენას. ამიტომაც მიაღწია მიზანს ამ გაკვეთილმა – მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ საკუთარი აზრის გამოხატვის, კომპიუტერის სასწავლო რესურსად გამოყენების, ტრანსფერის, ოპონენტების მოსმენის, რეფლექსიის უნარი.

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, მინდა მოგცეთ რეკომენდაცია:

- სასწავლო პროცესში უფრო თვალნათლივ დაანახოთ თქვენს მოსწავლეებს თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი;
- ჩაატარეთ გასვლითი გაკვეთილები, სადაც მოსწავლეები თავად გაზომავენ ხისა თუ მდინარის სიგრძეს შესწავლილი მასალის გამოყენებით. ამ გზით (კეთებით) მიღებული ცოდნა მათ აღარასოდეს დაავიწყდებათ;
- ჩაატარეთ ერთობლივი გაკვეთილები კლასებთან, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას;
- ხშირად მოაწყვეთ სხვადასხვა ღონისძიებები და ვიქტორინები, რომლებშიც ჩართულები იქნებიან არა მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, არამედ ისინიც, ვისაც უჭირს სწავლა, ამით მათ უკეთესად სწავლისთვის მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ.

დაბოლოს, განსაკუთრებით საგნის სწავლის საწყის ეტაპზე, ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილია მასწავლებლის აქტიური მონაწილეობით, რაც ითვალისწინებს საუბრებს, პრაქტიკულ მუშაობას, ამოცანებს, ერთი იდეიდან სხვა იდეების აღმოცენებას.

ვფიქრობ, ღირს საგანმანათლებლო გამოცდილების ნუსხას ინტერაქციის ეს მეთოდებიც შევმატოთ, რათა სტრუქტურირებული პროდუქტიული ინოვაციური გაკვეთილების ჩატარება გაგვიადვილდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენი არჩევანი – შენი წინსვლაა: [ცნობარი / პროექტის ხელმძღვ. ლიუდმილა კლოტცკი] – თბ.: შპს საარი. – 2008 (ელექტრონული რესურსი: http://www.nplg.gov.ge);
2. გელხვიიძე პ., ვერულაშვილი მ., ლაბორატორიული პრაქტიკუმი ფიზიკაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. – 2010;
3. Иванов Д., На какие вызовы современного общества отвечает использование понятий ключевая компетенция и компетентностный подход в образовании?/Компетенции и компетентностный подход в современном образовании // Серия «Оценка качества образования»/Отв. ред. Курнешова Л. Е. М.: Моск. центр качества образования. − 2008. − С. 3-56;
4. Двуличанская Н.Н., Интерактивные методы обучения как средство формирования ключевых компетенций. Наука и образование;
5. Электронное научно-техническое издание. Издатель ФГБОУ ВПО «МГУ им. Н.Э. Баумана». Эл № ФС 77 – 48211. [Электронный ресурс] – http://technomag.edu.ru/doc/172651.html;
6. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების II კრებული – G-pried;
7. V-VI კლასების სახელმძღვანელო, ავტორი: გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე;
8. სამუშაო შეხვედრებზე გამოყენებული მასალები;
9. Edmodo-ს ტრენინგის მასალები.

კლუბური მუშაობა

არაფორმალური განათლების აქტუალობა სწავლებაში

სასკოლო კლუბის პროექტი, ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი „ასპიროზი“

დალი თურმანიძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი, დაწყებითი საფეხური

2018 წლის გაზაფხულზე მონაწილეობა მივიღე (ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებელთა სახლის) მიერ გამოცხადებულ საბუნებისმეტყველო საგანთა მასწავლებლების სტაჟირების კონკურსში. ორივე ეტაპი წარმატებით დავძლიე და გავემგზავრე პოლონეთში, ვარშავის კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრსა და ფონდში „სკოლა კლასთან“, მასწავლებლების ერთკვირიან სტაჟირებაზე. დაბრუნების შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი ევროპული განათლების გამოცდილება გამეზიარებინა ჩემი სკოლის საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებული მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

დღეს, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში, აქტუალურია ევროპული ღირებულებების პოპულარიზაცია. ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით კი რეგიონები, ნაკლებადაა ინფორმირებული ამ საკითხებით. ამიტომაც საჭიროა, რომ საინფორმაციო მუშაობა ამ მიმართულებით უფრო ფართოდ და მიზნობრივად გაიშალოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი-სემინარი „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“ (სემინარის მონაწილე გახლდით გასულ წლებში), სემინარმა ჩემი ცნობიერება ევროპული ღირებულებების მიმართ მკვეთრად შეცვალა და დამანახა იმის აუცილებლობა, რომ ჩვენი ქვეყნის მომავლის განვითარებისა და წარმატების ერთადერთი და უალტერნატივო გზა ევროკავშირის ერთიან ოჯახში ღირსეული ადგილის პოვნაა. ამ საქმეში მასწავლებელს, როგორც მომავალი თაობის აღმზრდელსა და საზოგადოების ერთ-ერთ ავტორიტეტულ წარმომადგენელს, დიდი მისია აკისრია. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე ამ მიმართულებით კლუბური პროექტის დაგეგმვა და მისი განხორციელება, რადგან მიმაჩნია, რომ მასწავლებელს შესწევს ძალა, ინფორმაცია სწორად მიიტანოს მოსწავლეებთან. ამ პროექტის შედეგი არის და იქნება მომავალი თაობისა და საზოგადოების მიერ ევროპული ღირებულებების არსის გააზრება და იმის გაცნობიერება, თუ რას ნიშნავს ევროპული ღირებულებებით ცხოვრება? რატომ არის ევროკავშირი კარგი? რით არის ევროპული განათლება მიმზიდველი? რა გახდის ჩვენს ქვეყანას მომავალში წარმატებულს? პროექტი, აგრეთვე, ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო აქტივობებში, ხელს უწყობს მოსწავლეებში აკადემიური, სოციალური და ორგანიზაციული უნარების განვითარებას, მოსწავლეებს აძლევს თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების საშუალებას და ამაღლებს სამოქალაქო თვითშეგნებას. პროექტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ არაფორმალური განათლების მიზნებს ემსახურება და მოიცავს მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს. ამ მიზნით, 2018 წლის ოქტომბერში, სკოლის ბაზაზე, ჩამოვაყალიბე ახალგაზრდა მკვლევართა სასკოლო კლუბი „ასპიროზი“.

კლუბის მიზანი: თანამედროვე ინოვაციების ზუსტად და შემოქმედებითად გამოყენება მოცემულ საკითხთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით; ინოვაციური განათლებისთვის მზაობის დემონსტრირება; შემოქმედებითი იდეების პრაქტიკული გამოცდა ინოვაციურ სფეროში; ციფრული ტექნოლოგიების, კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და/ან ქსელების შესატყვისი გამოყენება ინფორმაციაზე წვდომის, მისი მართვის, ინტეგრაციის, შეფასებისა და შექმნისათვის; სხვადასხვა ჯგუფთან ეფექტური მუშაობის უნარის დემონსტრირება; მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართულობის ამაღლება და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება; მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით შევიმუშავეთ სასკოლო კლუბის მუშაობის წესდება და დებულება: სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის სასკოლო კლუბი „ასპიროზი“ (შემდგომში კლუბი) დაფუძნებულია სკოლის ფარგლებში, 1 წლის ვადით.

კლუბის ამოცანები: საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია და მათდამი ინტერესის გაზრდა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება; მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება; კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, კონკურსების ორგანიზება; მოსწავლეთა აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება; ჯგუფში მუშაობის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრეზენტაციის გამოცდილების შეძენა.

კლუბი იკრიბებოდა, არანაკლებ, თვეში სამჯერ და ფორმდებოდა ოქმით. სასკოლო კლუბის მონაწილეები იყვნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებული მოსწავლეები, სულ 25 მოსწავლე, მაგრამ იყო მოხალისეთა დამატებითი რაოდენობა სამუშაო შეხვედრების დროს.

კლუბ „ასპიროზის“ მუშაობის რეფლექსია:

კლუბმა მუშაობა დაიწყო წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით. კლუბის მეურვემ, პრეზენტაციით, მივანოდე მოსწავლეებს ინფორმაცია კლუბის შექმნის მიზანსა და აქტივობებზე. გავაცანი დებულება, როგორ შეიძლება კლუბში გაწევრიანება, მივაწოდე ინფორმაცია კლუბის განრიგსა და განსახორციელებელ აქტივობებზე, ასევე, სხვა საორგანიზაციო საკითხებზე. მოსწავლეებმა, რომლებმაც კლუბში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს, შეავსეს განაცხადის ფორმა; მათ შევთავაზე პოლონეთში ვიზიტის შესახებ პრეზენტაცია – ინფორმაცია კოპერნიკის ცენტრისა და ფონდ „სკოლა კლასთან“ შესახებ, ვაჩვენე ფოტომასალა ვარშავის სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრების შესახებ და შევუქმენი წარმოდგენა ევროპულ განათლებაზე, ვესაუბრე კოპერნიკის ცენტრის ექსპერიმენტებზე. მოსწავლეებმა ინტერესით მოისმინეს ჩემი პრეზენტაცია, დამისვეს საინტერესო კითხვები და გაიმართა საღი დისკუსია. მინდა აღვნიშნო, რომ სასკოლო კლუბში განხორციელებული ყველა აქტივობა და ექსპერიმენტი სტაჟირების დროს მოძიებული სასწავლო რესურსი იყო, რამაც მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

კლუბის შეხვედრაზე შევიმუშავეთ მუშაობის წესები სიმბოლოებით; მათი ინიციატივით შეიქმნა კლუბში ეფექტური მუშაობის „ოქროს წესები“, რომელიც ფლიფჩარტზე დაიწერა და წესის შესაბამისი ნახატი შეიქმნა; „ოქროს წესები“ გამოიკვრა თვალსაჩინო ადგილას. სასკოლო კლუბის წევრებმა კლუბის სლოგანიც შეარჩიეს, რომლის შესაბამისად, შეასრულეს სიმბოლური ნახატები და გამოაკრეს თვალსაჩინო ადგილას.

ვინაიდან კლუბში გაწევრიანებული არიან მეხუთე-მერვე კლასის მოსწავლეები, პირველ რიგში, გაცნობითი სახალისო აქტივობები შევთავაზე:

აქტივობა 1. „ჟესტით წარმოადგინე შენი თავი“ – კლუბის წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი თავი ჟესტით, მიმიკით – რომელ კლასში სწავლობენ, რა უყვართ, რომელი საგანი უყვართ, რისი კეთება უყვართ სახლში და სხვა; კლუბის წევრები, წარმოდგენის საფუძველზე, ახასიათებდნენ ამხანაგს.

აქტივობა 2. „პიკასოს პორტრეტი“ – პორტრეტის შექმნა მხოლოდ შეხედვით. კლუბის წევრები დაწყვილდნენ და დახატეს ერთმანეთი ისე, რომ უყურებდნენ ერთმანეთს და არ იცქირებოდნენ ფურცელზე; მოსწავლეებმა მეწყვილის სახალისო პორტრეტები შექმნეს; პორტრეტები თვალსაჩინო ადგილას გამოიფინა.

აქტივობა 3. „აიღე შენი ნივთი“ – მონაწილე მიდის მაგიდასთან, რომელზეც სხვადასხვა ნივთი ალაგია, იღებს ერთს, ირჩევს მეწყვილეს და უხასიათებს ნივთს, რატომ აირჩია იგი. მეწყვილე ირჩევს სხვა თავისუფალ მეწყვილეს და გადასცემს ნივთს. ნივთები მოძრაობენ იმ დრომდე, სანამ მეურვე არ შეწყვეტს თამაშს. მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს და აღწერენ იმ ნივთს, რომელიც აქვთ და უბრუნებენ პატრონს; თამაში გრძელდება მანამ, სანამ ნივთები ყველა მონაწილეს არ დაუბრუნდება;

აქტივობა 4. „კალამბური“ – კლუბის მეურვე მაგიდაზე ალაგებს ბარათებს ნახატით; მოსწავლე იღებს ბარათს და ჟესტით ხსნის ან ფლიფჩარტზე ხატავს, რაც ხატია ბარათზე. მოსწავლეები გამოიცნობენ.

მოტივაციის გაზრდის მიზნით, კლუბის შეხვედრებზე სახალისო, ემოციური აქტივობებიც სრულდებოდა. ასეთი იყო **„გამოხატე ემოცია“** – სათამაშო კალათაში იყრება სხვადასხვა ემოციის გამომხატველი „ღიმილები“, მონაწილეები ინდივიდუალურად იღებენ და შესაბამის ემოციას გამოხატავენ მიმიკით.

მომდევნო აქტივობა მიზნად ისახავდა კლუბის მუშაობის მოკლე ანგარიშს, – რა მოსწონთ მონაწილეებს კლუბის მუშაობაში, რისი მოლოდინები აქვთ მომავალში და რისი შიში ეუფლებათ, ზოგჯერ. პოსტერზე დახატული იყო ნახატი – „მზე“, წარწერით – *რა მომწონს?* „ვარსკვლავები“ – *რისი მოლოდინი მაქვს?* „ლაბირინთი“ – *რისი შიში მაქვს?* მეტად საინტერესო და შინაარსიანი პოსტერი გამოვიდა, აქტუალური მოლოდინები, შიში და მოწონება გამოვლინდა. აქტივობამ მიზანს მიაღწია.

სავარჯიშო „სარკე“ – როგორ ვიცნობ ჩემს მეწყვილეს: 1. ადამიანი, რომელიც ჩემ გვერდითაა; 2. თვისება, რომელიც მომწონს მასში; 3. თვისება, რომელიც არ მომწონს მასში. მოსწავლეები ახასიათებდნენ, აქტივობის მიხედვით, მეწყვილეებს, აკეთებდნენ პრეზენტაციას. საინტერესო მოსაზრებები წარმოთქვეს, აჩვენეს რეალური სურათი მეწყვილის თვისებების შესახებ.

შემოქმედებით აზროვნებას ავითარებს აქტივობა **„თხუნელა“**. მიზანი: როგორი წარმომიდგენია ჩემი სკოლა? 1. ზევით – „ღრუბლებში“ იწერება ჩვენი სურვილები; 2. შუაში – „სახლში“ იწერება ის, რასაც რეალურად გავაკეთებთ ან გავაკეთეთ. 3. ქვევით – „მიწაში“ იწერება ის პრობლემები, რასაც გადავლახავთ. კლუბის წევრებმა საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს, მაღალი იყო ინტერესი და მოსწავლეთა ჩართულობა, ჯგუფებმა განსხვავებული იდეები გამოთქვეს და სკოლის რეალური სურათიც დაგვიხატეს.

შთაბეჭდილებების ჩანერა – **„ემოციების კოლბა“.** კლუბის წევრები ჯგუფებად იყოფიან, კოლბაში წერენ ყველა იმ ემოციას, რაც შეექმნათ აქტივობებზე მუშაობის დროს. სახალისო აქტივობა – მხიარული თამაშის არსი. კლუბის მუშაობას მოტივაციას ჰმატებს მხიარული ჩართვები თამაშების სახით. მაღალია აქტიურობა და ჩართულობა.

კლუბის მუშაობის პერიოდში კვლევითი უნარების გასავითარებლად განხორციელდა საინტერესო და მოტივაციის მომცემი ექსპერიმენტები – „როგორ გავბეროთ ბუშტი“; „კვერცხის დასაფრენი ადგილი“; „ქაფიანი მცენარეები“; „მოლივლივე ბურთულა“; „მავთული და ბატარეა“; „ასაფეთქებელი ნივთიერება“; „ქიმიური იო-იო“; „საფუარის სიცოცხლისუნარიანობა“; ექსპერიმენტები ბუნებრივ კატასტროფებზე – ვულკანის ამოფრქვევა და სხვ. მოსწავლეებს ვაცნობდი ექსპერიმენტის ჩატარების ინსტრუქციას და თანმიმდევრობას, ვთხოვდი დაკვირვებას და ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ დასკვნების გამოტანას. მოსწავლეები ხალისით მუშაობდნენ და აკეთებდნენ სათანადო დასკვნებს; საინტერესო პრეზენტაციებს აკეთებდნენ, მაღალი იყო ინტერესი და მოსწავლეთა ჩართულობა, ჯგუფები განსხვავებულ იდეებს აყალიბებდნენ და საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ.

სასკოლო კლუბი აქტუალურ, მნიშვნელოვან დღეებს (შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე...) სამუშაო შეხვედრებს უძღვნიდა, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნა საქველმოქმედო აქციით „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“.

დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაა, რასაც ეკოლოგიურად მაღალგანათლებული აქტიური სამოქალაქო საზოგადოება სჭირდება. ამიტომაც, ჩემი კლუბური პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად დავისახე მოსწავლეებში ეკოლოგიური განათლების ამაღლება. ვინაიდან ჩვენ ზღვისპირა სოფელში ვცხოვრობთ, მთავარი აქცენტი შავი ზღვის გადარჩენასა და მასზე ზრუნვაზე შევაჩერეთ, რადგან შავი ზღვა საერთო ევროპული ოჯახის დიდი პრობლემაა (ევროპის 8 სახელმწიფოს საერთო საზრუნავია) და ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ჩვენგანის, როგორც ევროპული ღირებულებების მხარდამჭერის, მოქალაქეობრივ თვითშეგნებასა და პასუხისმგებლობას.

ამ მიმართულებით, დაწყებით და საბაზო კლასებში, ჩავატარეთ **„შავი ზღვის სკივრის“** გაკვეთილები და მოსწავლეებს უხვად მივაწოდეთ ინფორმაცია შავ ზღვაში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებსა და საფრთხეებზე, საიდანაც თავად გააკეთეს დასკვნები და დასახეს პრობლემების გადაჭრის გზები. მათ უამრავი ინფორმაცია მიიღეს იმის შესახებ, თუ როგორ უქმნის ზღვას საფრთხეს საყოფაცხოვრებო ნარჩენები, განსაკუთრებით კი – პოლიეთილენისა და პლასტმასის ნარჩენები. მათგან წამოვიდა ინიციატივა, რომ კონკრეტული ქმედებები განეხორციელებინათ, მაგალითად: ხშირად დაელაგებინათ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაესუფთავებინათ ზღვის სანაპირო და სოფლის შემოგარენი, რადგან, ადრე თუ გვიან, ხმელეთზე დაყრილი ნაგავიც ზღვაში ჩადის. მათი გადაწყვეტილებით, ამ აქტივობას მრავალჯერადი სახე მიეცა, თითოეულმა მათგანმა სიღრმისეულად გაისიგრძეგანა შავი ზღვის წინაშე მდგარი საფრთხეები და საკუთარი პასუხისმგებლობა ამ საფრთხეების შემცირებისა და აცილების საქმეში. ექსპერიმენტისათვის ასეთი აქტივობა დავგეგმეთ – ნაგვის სხვადასხვა სახეობის (პოლიეთილენი, ქაღალდი, მინა, ალუმინი) დამარხვა და დაკვირვება, რა დაემართება მათ სასწავლო წლის ბოლოს. მოსწავლეები მოტივირებული მოვიდნენ კლუბის წევრების შეხვედრაზე. უსაფრთხოების მიზნით, მოიტანეს ერთჯერადი ხელთათმანები და პარკები, გავამზადეთ პარკები წარწერებით – პოლიეთილენი, ქაღალდი, მინა და ალუმინი. მონაწილეები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ და სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება დაიწყეს. შესაბამის ნაგავს, წარწერის მიხედვით, პარკებში ყრიდნენ. დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით ასრულებდნენ დავალებას. მეორე ეტაპი უკვე შეგროვილი ნივთების დამარხვა იყო – მინიშნებულ ადგილას ბარებით ამოიღეს მიწა, ამოთხარეს ოთხი ორმო და, ეტაპობრივად, დამარხეს ნაგავი. მოვნიშნეთ ადგილები, რადგან უნდა ვაწარმოოთ დაკვირვება, რა დაემართებათ სასწავლო წლის ბოლოს.

საკლუბო პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა საკმაოდ დიდია, ესენი არიან: მოსწავლეები, მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები და მათი ოჯახები, თემი და მისი წარმომადგენლები. მაგრამ აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ არ არის იოლი სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან მუშაობა და მათი დარწმუნება ამა თუ იმ საკითხის აქტუალობაში. კლუბურ პროექტებს ბევრი სიძნელეებიც ახლდა მუშაობის პროცესში, მაგრამ ამ სიძნელეებმა გვიჩვენა ალტერნატიული გზები და გვასწავლა ერთმანეთთან და სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა. მე და ჩემი მოსწავლეები, შევძლებთ ბენეფიციართა რაოდენობის ბევრად გაზრდას და კიდევ უფრო ეფექტური აქტივობების განხორციელებას. რესურსი ის აუცილებელი ფაქტორია, რომელიც ჰაერივით სჭირდება ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი კლუბური პროექტის განხორციელებას. ჩვენი აქტიური მხარდამჭერია სკოლის დირექტორი, ბატონი **რამინ ხინიკაძე**, რომელმაც, სკოლის ბაზაზე არსებული რესურსებიდან, გამოგვიყო სასწავლო ავეჯით მოწესრიგებული ოთახი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსი, პროექტორი და მუდმივად გვეხმარება, ინტელექტუალური თუ ფიზიკური შესაძლებლობებით. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი სკოლის პედაგოგები არიან, რომელთაც ხშირად მივმართავთ, აგრეთვე, ის საინტერესო სახელმძღვანელოები და საინფორმაციო ბუკლეტებიც, რომლებსაც სხვადასხვა ვიზიტებისა და შეხვედრების დროს ვიღებდით.

დასკვის სახით მინდა აღვნიშნო, რომ სასკოლო კლუბების მეშვეობით საერთო ინტერესის მქონე მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, ერთ სასწავლო სივრცეში გაერთიანდნენ, ჩამოაყალიბონ შემეცნებითი კლუბი და, საგაკვეთილო პროცესის მიღმა, მათთვის საინტერესო საქმიანობით დაკავდნენ. დარწმუნებული ვარ, ეს ხელს შეუწყობს მათი მსოფლმხედველობის გაფართოებასა და ჩართულობას საზოგადოებაში.

ჩვენი შემოქმედებისა და აღმოჩენების გზა გრძელდება!..

გამოყენებული რესურსი: *„ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილი“ – მასალა შემუშავებულია პროგრამა „ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილის“ მორიგი ეტაპების ფარგლებში, რომლებიც თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პოლონური პროგრამის „განვითარებისათვის თანამშრომლობის“ ფარგლებში. პუბლიკაცია ქვეყნდება Creative Commons ლიცენზიის საფუძველზე, 3.0 პოლონეთის ავტორობის მითითებით. უფლებებზე ლიცენზია ნაწილობრივ ეკუთვნის „პარტნიორები პოლონეთიდან“ ფონდს და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს.*

გაკვეთილი აქტუალურ თემაზე

სასკოლო ბულინგი და მისი გადაჭრის გზები

ბულინგი, იგივე ტერორი, 21-ე საუკუნეში ჩაგვრის ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული ფორმაა. ბულინგი ნიშნავს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც ხორციელდება ადამიანის (ბავშვის, მოზარდის და სხვათა) მიმართ, თანატოლების ან სხვა ჯგუფის მიერ, მრავალჯერადად. ბულინგის ქართულ შესატყვისებად შეიძლება ჩაითვალოს: შარიანობა, ჩხუბისთავობა, ყოჩობა... ძალადობა კი ერთი ადამიანის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებაა ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ და იგი, ძირითადად, ერთჯერად ხასიათს ატარებს.

ბულინგის და ძალადობის მრავალი სახეობა არსებობს, როგორებიცაა:

- ✓ კიბერბულინგი;
- ✓ სატელევიზიო ბულინგი;
- ✓ ჯგუფური ძალადობა;
- ✓ ემოციური ბულინგი;
- ✓ სიტყვიერი ბულინგი;
- ✓ ფიზიკური ბულინგი და სხვ.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით საშიშია კიბერბულინგი, რომელმაც, სამწუხაროდ, უამრავი მოზარდის სიცოცხლე შეინირა. ძალადობრივი ქმედების პრევენცია ეტაპობრივად, პატარა ასაკიდან, უნდა განხორციელდეს. კერძოდ:

- ✓ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ✓ პრობლემის არსებობის აღიარება;
- ✓ პრობლემის განსაზღვრა (არსი, სერიოზულობა, სიხშირე, და სხვ.);
- ✓ სამუშაო გეგმის შედგენა.

ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, სად და ვის მიერ ხორციელდება ძალადობრივი ქმედებები. ძალადობის მაგალითები დიდი დოზითაა საბაზო და საშუალო საფეხურზე, როცა მოზარდები ცდილობენ თავის დამკვიდრებას. ხშირად მოძალადე ცდილობს ძლიერად გამოიყურებოდეს, ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, და-ძმას, თანატოლს. მას თანდათან უჩნდება შიში, რომ თვითონ გახდება ძალადობის მსხვერპლი და უფრო და უფრო აგრესიული ხდება. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა. მოზარდების ძალადობრივ ქმედებებს ხშირად დაბალი კლასების მოსწავლეები ხედავენ, ექცევიან გავლენის ქვეშ და იმავეს იმეორებენ. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია პატარების ცნობიერების ამაღლება, მათი ამ კუთხით სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში ჩართვა, კერძოდ, ხშირი საუბრები კონკრეტულ თემაზე, შემთხვევებზე, შედეგებზე და ა.შ. დაწყებითი კლასების მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ცნებებს: ბულინგი, ძალადობა და განასხვავებდნენ ბავშვური სიცელქისგან. საჭიროა, საკლასო ოთახებში, თვალსაჩინო ადგილას, გამოიფინოს პლაკატები ბულინგის თემაზე. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ძალადობრივი ქმედების გამოვლენა, რადგან სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდი, ცოდნასთან ერთად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და აუცილებელ უნარებსაც იძენს, მშობლები და მასწავლებლები ერთობლივად უნდა ეძებდნენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, დაწყებით კლასებში, ამ თემის მიწოდება მარტივი არ არის. საჭიროა ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება, ისეთი აქტივობების შერჩევა, რომელიც მოსწავლეთა ჩართულობას გაზრდის. საჭიროა მათი ასაკის შესაფერისი მოკლე, ხუთწუთიანი ვიდეოების ჩვენება, დისკუსიის წარმართვა, სიტუციური ამოცანების მომზადება ჯგუფური მუშაობისთვის, რესურსების მოძიება და გამოყენება მიზანმიმართულად (კომპიუტერი, პროექტორი, ფერადი ქაღალდები, მარკერები, ფორმატის ქაღალდები და ა.შ.).

მასწავლებლის როლი დიდია ამ საქმეში. თუ სასწავლო პროცესში ხშირად გამოვიყენებთ ინტერაქტიული სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: დისკუსია, როლური თამაშები და ა.შ., ხშირად დავგეგმავთ და ჩავრთავთ მოზარდებს მსგავს ღონისძიებებში, კონკრეტული მიმართულებით, შედეგიც არ დააყოვნებს; მათ განუვითარდებათ სხვადასხვა საჭირო უნარები, ავარიდებთ უსიამოვნებას თითოეულ მათგანს და, რაც მთავარია, ხელს შევუწყობთ საღად მოაზროვნე თაობების აღზრდას, მათ ნამდვილ პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

გთავაზობთ მეოთხე კლასში ჩატარებულ გაკვეთილს თემაზე: „ბულინგი და ძალადობა“

კლასი	მე-4
მასწავლებელი	ლანა კაკაჩია
ჩატარების დრო	26.03.2019
გაკვეთილის გეგმა	„ბულინგი და ძალადობა“
გაკვეთილის ხანგრძლივობა	დაწყვილებული 90 წუთი
მოსწავლეთა პროფილი	სულ 6 მოსწავლე – 2 გოგო, 4 ვაჟი

თემის აქტუალობა	დღევანდელ ყოფაში ბულინგი და ძალადობა ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, რომელიც, ძირითადად, სკოლებში გვხვდება. აუცილებელია, დაწყებითი კლასებიდან დავანახოთ მოსწავლეებს ბულინგის შედეგები და მოვამზადოთ მასთან საბრძოლველად.
სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები	მოსწავლეები გაეცნობიან: • ბულინგისა და ძალადობის ცნებებსა და სახეებს; • მოძალადისა და მსხვერპლისთვის დამახასიათებელ ნიშნებს; • ჩამოუყალიბდებათ უარყოფითი დამოკიდებულება ყოველგვარი ძალადობისადმი; • განუვითარდებათ თანამშრომლობის უნარი. **ქართ. IV.**1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მისი შინაარსი. **ქართ. IV.**2. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მხატვრული ნაწარმოების მიმართ. • მსჯელობს ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე; • ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს; • მონაწილეობს სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში; გამოხატავს საკუთარ ემოციებს. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • გადმოსცემს მოსმენილის/ნანახის შინაარსს; • ახასიათებს პერსონაჟებს (მათ თვისებებს); • გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს/არ მომწონს; კარგად მოიქცა/ცუდად მოიქცა და ა.შ.); • ისმენს ტექსტს და ასახელებს შეაბამისი თემატიკის საბავშვო ფილმს; • აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან; • გამოხატავს პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (გამაკვირვა/შემეცოდა და ა.შ.); • მონაწილეობს პერსონაჟის დახასიათებაში.
გაკვეთილის მსვლელობა	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება; თემის და მიზნის გაცნობა; ქცევის წესების შეხსენება; შეფასების კრიტერიუმებზე ყურადღების გამახვილება. **(5წთ)** **A ფაზა/გამოწვევა (5წთ)** რა არის ბულინგი? – მინი-ლექცია. **აქტივობა 1. (3წთ)** მინი-ლექციის შემდეგ ივსება ასოციაციური რუკა, რომელიც ფლიპჩარტზეა მოცემული და დაფაზეა გაკრული. **აქტივობა** 2. **(5წთ)** ასოციაციური რუკის შევსების შემდეგ, ფილმის ჩვენება ბულინგზე (პროექტორის გამოყენებით). იხ. ბმული https://www.youtube.com/watch?v=cH9bNXcTKRE **B ფაზა/ცოდნის კონსტრუირება (20წთ)** ფილმის ანალიზი – „გონებრივი იერიში“ – რა მოხდა? მოგეწონათ ფილმი? აღმოჩენილხართ მსგავს სიტუაციაში? როგორ მოგიგვარებიათ პრობლემა? **აქტივობა 3. (8წთ)** შევთავაზებ თამაშს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაზე – „ბრძოლა ფორთოხლისთვის“. **აქტივობა 4**. **(5წთ)** ფილმის ჩვენება ძალადობაზე, ბმული https://www.youtube.com/watch?v=7UeURLI_j-k **აქტივობა 5.** (3წთ) კითხვა-პასუხი **აქტივობა 6. (8წთ)** ვენის დიაგრამა შევსება ბულინგისა და ძალადობის მსგავსება-განმასხვავებელ ნიშნებზე. მოსწავლეები მსჯელობენ და თვითონაც იხსენებენ, პირადი გამოცდილებიდან, მსგავს შემთხვევებს. **აქტივობა 7**. **(10წთ)** ჯგუფური მუშაობა კლასი იყოფა ორ ჯგუფად. I ჯგუფი იმუშავებს ფლიპჩარტზე: „რას ვეტყოდი მოძალადეს?“ (საკუთარი ფანტაზიით დახატავენ ერთ-ერთ სცენას) II ჯგუფი – „რას ვეტყოდით მსხვერპლს?“ (დახატავენ ერთ-ერთ სცენას). **პრეზენტაცია (6წთ)** **აქტივობა 8**. **(10წთ)** „როლური თამაში“ გაითამაშებენ კრილოვის იგავ-არაკს (აკაკი წერეთლის თარგმნილი) „მგელი და კრავი“ – ოთხი მოსწავლე მთხრობელის როლშია, ხოლო ორი – მგლისა და ბეკეკას (სცენა წინასწარაა გამზადებული. იხ. ფოტო). **C ფაზა/შეჯამება (7წთ)** **საშინაო დავალება:** გაიხსენონ ერთი შემთხვევა, თუ შესწრებიან ან თვითონ ხომ არ ყოფილან ძალადობის ან ბულინგის მსხვერპლი.
სასწავლო რესურსები	ფლიპჩარტები, პროექტორი, კომპიუტერი, მარკერები, ფორთოხალი, მგლისა და კრავის ნიღბები და ა. შ.
შეფასება და თვითშეფასება	განმავითარებელი, სიტყვიერი კომენტარი; უკუკავშირი აქტიურობასა და ჩართულობაზე.

შეფასების სქემა

კრიტერიუმები	კარგად-საშუალოდ-დამაკმაყოფილებლად
აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში.	3-2-1
მონაწილეობს დისკუსიაში.	3-2-1
აქვს თანამშრომლობის უნარი.	3-2-1
მსჯელობს არგუმენტირებულად.	3-2-1
აკეთებს პრეზენტაციას.	3-2-1
იცავს დროის ლიმიტს.	3-2-1

როლური თამაში „მგელი და კრავი“



ლანა კაკაჩია
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
ლიის თემის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სატრენინგო მასალა – „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“.
ვებგვერდი: www.tpdc.ge

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი

~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე



4 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული ენიოლოგიური პრობლემატიკა ლინგვისტიკურის მეცნიერებათა თანამედროვე



12 ლარი

თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

მასწავლებლებს! უნიკალური შესაძლებლობა მარტივად მოემზადოთ გამოცდისთვის! კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიძოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.